

ს. 86368
2

სიცოლოს სერ მიმღებადათა აკადემია

იასე ცინცაძე

გასილ გაგარასა და არსენ
სუხანოვის ცნობები საქართველოს
შესახებ

გამოცემობა „გეგმისა“
თბილის 1965

საქართველოს სსრ მიცნობრიგათა აკადემია
საქართველოს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი
პრიზისა

იჟსე, ცინცაძე

გასილ გაგარასა და არხენ
სუხანოვის ცნობები საქართველოს
შესახებ

(XVII საუკუნის რესული მანეობის საქართველოს
ისტორიისა)



გამოიცილობა „მამია რეზა“
თარიღი 1965

92832
86368
2

J.S. 2019. 209 16

“ ნაშრომში მოცემულია მე-17 საუკუნის რუსული ნარატიული ძეგლებიდან მოკრეფილი ცნობები საქართველოს შესახებ. აქ ქართულ ენაზე პირელად ქვეყნდება რუსი ვაჭრის, ვასილ გაგარისა და, თავის დროისათვის უალრესად განათლებულ იმერის, ასევე სუხანოვის ჩანაწერები საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ტექსტებს თარგმანითურთ წინ უძღვის ხსენებულ ავტორთა ბიოგრაფიული ცნობები კრატიკული მიმოხილვით.

ვასილ გაგარას ცნობები საქართველოს შესახებ
XVII ს.

გასილ იაკობის ძე გაგარას შესახებ ძირითადი ცნობები, მისი მოვზაურობის აღწერილობაშია მოცემული. იგი ქალაქ პლესენიდან ყოფილა. პლესენი მდ. ვოლგის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს. მრ. შოხონქას შესართავთან. მაგრამ გასილ გაგარას დიდხანს ქალ ყაზანში უცხოვრის. იგი ვაჭარი ყოფილა და საქმაოდ მდიდარი. აღმოსაფლურ საქონლით ვაჭრობდა თურმე. გასილი თავზე ხელაღებული კაცი ყოფილა მოხუცებულობამდე. მისივე ცნობით, გარეუნილ ცხოვრებას ეტანებოდა, ქრისტიანულ წესებს არ იცივდა. ამ „წუმპედან“ ამოსელას იგი თურმე არ ფიქრობდა დიდხანს. მაგრამ ორმა გარემოებამ ღრმად ჩააფიქრა იგი. მთელი თავისი სიმდიდრე მსახურს, გინძე გარანქას, გაატანა ხომალდით. დიდალი საქონელი სპარსეთში გაუგზავნია გასასყიდათ, მაგრამ ქარიშხელს ხომალდი ჩაუძირავს და მისი პატრონი, გასილ გაგარა, ნელცარიელა დარჩენილა. სწორედ ამ დროს მეუღლეც გარდაცვლია და ამ უბედურებათა მიზეზის ძებნაში, მარტივი დასკვნა გამოუტანია, მე-17 საუკუნის რუსი ადამიანისათვის დამახასიათებელი. ყველაფერი ღვთის მიერ მოვლენილად მიუჩნევია და ცოდვების მონანიება გადაუწყვეტია. გაგარას ქრისტიანულ ცხოვრებისაკენ შემობრუნება დამთხვა ვაჭრობაში ისევ ბედის გაღიმებას, გასილს დაკარგული არჩევად აუნაზღაურებია. ამ გარემოებამ გასილ გაგარა საესებით დაირწმუნა იმაში, რომ მის უბედურებასა და ბედის შემობრუნებაში „ნამდვილად ღვთის ხელი ერია“ და აღთქმა მიუცია ღვთისათვის იერუსალიმში გამგზავრების შესახებ.

იგი 1634 წელს გამგზავრებული მოსკოვიდან იერუსალიმში. თავისი მსახური გარანქაც თან წაუყვანია. იერუსალიმისაკენ მიმავალი გზები და ამ გზებზე ახსებული ქალაქები მას, ვითარცა ვაჭარს, აღრევე უნდა სცოდნოდა, თუმცა ყოველგან იგი ნამყოფი არ ყოფილა. იერუსალიმიმამდე მას ერთი წელი დაძყონებია. ზოგჯერ ისეთ ქალაქებზე გაუვლია, რომელიც იერუსალიმშე მიმავალ გზიდან საქმაოდ დაშორებული ყოფილა. ზოგიერთი მცვლევარი ამიტომ ფიქრობს, რომ იერუსალიმისაკენ მიმავალი ვასილ გაგარა, მარტო

სულის ცხონებაზე თ ფიქრობდა და გზადაგზა ვაჭრობდა კიდევ სულის ცხონებისათვის ზრუნვა და მასთან ვაჭრობის შეთავსება ხომ ქრისტიანული სარწმუნოების მიერ აქრძალული არ იყო იმ სა- შეუნუშიაც.

ვასილ გაგარის, იერუსალიმისაკენ მიმავალს, თბილისზე გამო- უვლია, აქედან ერევნით, ორტან ყარს—არზრუმით, სებასტია, კე- საჩია—ალაბზე და ლიმუშკ—სამარიაზე გადაუვლია და „წმინდა მი- წამდე“ მიულწევია. ვასილს ასე აღეთქვა ღვთისათვის, რომ იგი თა- ვის ცოდვებს, ალსარების სახით, აღმოსავლეთის პატრიარქებს ვა- უმედავნებდა და ამ გზით მოინანიებდა კიდევ. მაგრამ, როცა ვა- სილ გაგარა იერუსალიმში მივიდა, თეოფანე, იერუსალიმელი პატ- რიარქი, დაგილზე არ დახვდა, ამიტომ მხოლოდ სამი დღე დაჟყო იერუსალიმში და შემდეგ ეგვიპტეში გაემგზავრა. აღექსანდრიის პატრიარქის სანახევად, ვასილმა ალექსანდრიის პატრიარქი ვერასი- მე, ინახულა, მან გაგარა მიზანდასახულება მოუწონა და ბოლოს მოსკოვის მეფესთან; მიხეილ რომანოვთან, სიგელიც გამოატანა. იმ დროს, თურქეთის გაბატონების შედეგიდ, აღმოსავლეთის პატრი- არქები ხელმოკლეობს განიცდილენ და მდიდარ რუსეთის ხელმწი- ფისაკენ ხელს სამოწყალოდ ხშირად იშვერნდნენ. ისე რომ წერი- ლის გამოგზავნა მოსკოვის მეფესკთან, იმდენად გაგარას დამსახურე- ბა არ არის, როგორც ეს ზოგიერთ შეცვლებას ჰქონია, რამდენად ჩრდილოეთიდან სამოწყალოს მიღების დიდი სურვილი. გერასიმე პატრიარქის წერილში ვასილ გაგარა ღვთის მოშიშ და სამაგალით ქრისტიანად არის მოხსენებული. ვასილს ევვაპტეში ჭოფნის დროს რუსი ვინმე, ტყვე ერემია გამოუსყიდა. ვერასიმე პატრიარქის სი- გელი 1636 წლით არის დათარიღებული.

ევვაპტეში ყოფნის დროს ვასილ გაგარას თავი შეუწისებია და სინას მთაზედაც შისულა. ვასილი არაფერს წერს სინას მთის ქარ- თულ მონასტრის შესახებ, მას არაფერი აქვს ნათქვამი არც იერუ- სალიმის ქართული მონასტრების შესახებ. ეტყობა ასეთი საკითხე- ბი მას არც აიტერესებდა.

ალექსანდრიიდან ვასილ გაგარა ისევ იერუსალიმში მისული და აქედან მოსკოვისაკენ აულია ვეზი, მაგრამ ამ ხელად თურქეთის ტე- რიორიით, მარმალილოს ზღვით, კლახეთ-პოლონეთით კიევზე წა- მოსულა, ხოლო კიევიდან მოსკოვში დაბრუნებულა 1637 წელს. იერუსალიმიდან ახალი მაჩშრუტით სამშობლოში დაბრუნება, იმ გარემოებით ყოფილა გამოწვეული; რომ თურქეთზე ირანის ლაშქა- რი მოიწვედა და ვასილი ხიფათს შეიძლებოდა გადაპყროდა. მოს- კოვში დაბრუნებული ვასილი, მიხეილ რომანოვს პატივით მულია:

საინტერესო ცნობების მოტანისათვის და, სათანადო ხაშუათი,
„მოსკოველ გაჭრის“ წოდება მიუწიქებია.

ვასილ გაგარის მოგზაურობის აღწერილობის თარი ვარიანტია
დღეს ცნობილი. მართალია დიდი ოსებითი ხასიათის სხვაობა, ამ
ვარიანტებში არ არის, მაგრამ სხვაობა მაინც არის და ჩემ საჭი-
როდ ვცანით ორივე ვარიანტის გარკვეული ნაწილის რუსული ტექ-
სტი და თარგმანი მოგვეწოდებინა ქართველი მკონელისათვის.
მე-17 საუკუნის თბილისის აღწერილობა და სხვა ცნობება საქართ-
ველის შესახებ, ამ მეიძღვება ქართველი ისტორიკოსებისათვის
მნიშვნელობას, მოკლებული იყოს. ვასილ გაგარის მოგზაურობის
აღწერილობა წინასტყუფაობით ვამსიცა ს. დოლგოვმა. იმ. Право-
славный Палестинский Сборник 1891 г., ვვ-й выпуск; გვ. 178.

ვასილ გაგარის, როგორც ვნახეთ, თვისი სიცოცხლის მეტი ნა-
წილი მხიარულად გაუტარებია, მას ასეთი ბობოქირი ცხოვრები-
სათვის სახსრებიც ჰქონდა აღმართ და არასოდეს ლიტერატურული
მოღვაწეობისათვის მზადება აზრათ არ მოსცლია. იგი ბუნებრივად
ნიჭიერი კაცი ყოფილა, მაგრამ გაჭრისათვის იმ დროს საჭირო
ცოდნაზე მეტი მას არ უნდა ჰქონდეს შეძენილი. ვასილ გაგარი,
როგორც მოგზაურობის აღმწერელი, სუსტია. მას მოგზაურობის
დროს აზაგითარი დღიური ჩანაწერებისათვის თავი არ შეუწიურე-
ბია. იგი თვის მოგზაურობის აღწერილობას მხოლოდ შაშინ უნდა
აღვენდეს, როცა მოსკოვში დაბრუნდა. მას გვიჩვენებს მის აღწერა,
რილობაში არა ერთხელ აღნიშნული სიტყვა „ვაპამითოვა“. ის
ქალაქის სახელებსაც მეხსიერებაზე დაყრდნობით არა ერთხელ
ურევს, ანდა ისე ამახინჯებს, რომ ვიჭირს ადამიანს გაგება, რომელ
ქალაქზეა საუბარი. ვასილ გაგარის ფანტასტიური ამბები მოუსმე-
ნია და დაუკრებია, თუმცა მე-17 საუკუნის მორწმუნე ქრისტიან
მოქალაქესათვის ლეგენდების სინამდვილეთ აღიარება, არც ისე
იშვიათი მოვლენაა საერთოდ. გაგარის ნიხულისა და ვაგონილის
აღწერა არ ეხერხება, მას საამისო პრაქტიკაც წინათ არ უნდა ჰქო-
ნდა. გაგარი მაინც ცნობისმოყვარე ადამიანი ყოფილა, რომ აღ-
გილობრივ ამბებს და ამა თუ იმ ქვეყნის ლიხს შესანიშნაობათა ის-
ტორიას ძიობდა და კითხულობდა. ამიტომ არის, რომ გაგარის ცნო-
ბები თბილისისა და საქართველოს შესახებ უმნიშვნელო არ არის
საქართველოს ისტორიისათვის. გაგარის მოსკოვში დაბრუნებისას
სხვების ჩრევით უნდა ჰქონდეს თვისი აღწერილობა გაცემებული.
მას რომ მოგზაურობის აღწერა იმ თავითვე განზრასული ჰქონდა,
დღიური ჩანაწერები უნდა ეკეთებინა. ასეთი ჩანაწერები მას გზაზე

არ უკეთებია და ამიტომ არის მისი აღწერილობა მცირე. მას საკუთარი ხელით აქვს თავისი მოგზაურობის აღწერილობა სხვადასხვა ვარიანტით დაწერილი. ვარიანტები ერთი მეორეს ავსებენ. მასალა თბილისის ციხე-სიმაგრეების აღწერილობისათვის უცხოეთოდან მოსულ ადამიანს ადვილად არ შეეძლო თბილისში მიეღო. წყლის საიდუმლო გვიჩაბისა და ციხე-გალავნის თხრილის დათვალიერება, ან სიტყვიერი თხრობა იმ დროს მარტივად გასაკეთებელი საქმე არ იყო, მაგრამ ილბათ ვასილ გაგარას წარმოშობამ მისი თბილისელი მასპინძელი ისე დაამშვერდა, რომ ციხის გალავნისა და ბურჯების აღნაგობის შესახებ ინფორმაცია არ დაამაღლდა. გაგარა თბილისში როგორც მეგობარი ჰკეყნებს წარმომაღვენელი ისე უნდა მიეღოთ. არ ჩანს, არამდენ ხანს დაპყო მან საქართველოში. არც ის ვიცით დანამდვილებით, იყო თუ არა ის დასავლეთ საქართველოში, თუ თბილის-მცხეთის დათვალიერების შემდეგ პირდაპირ ერევანში გაემგზავრა. გაგარა რომ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ არაფერს არ წერს, ეს სრულიადაც იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის იმერეთში არ გადასულიყოს. თავის მოგზაურობის აღწერილობის ერთ ვარიანტში გაგარა სრულიად არაუერს წერს, რა გზით მოვიდა საქართველოში, მეორეში კი აღნიშნული აქვს, რომ ყაზან-ასტრახანით წავედი საქართველოში, მაგრამ ასტრახანიდან რა გზით მოვიდა იგი თბილისში ერთი სიტყვაც არ აქვს ნათევამი. გაგარა შემახადან თბილისში მომავალ ქარავანს მოჰყვებოდა ოლბათ. იმ დროს ქარავანთან ერთად მოგზაურობა ყელაზე უფრო საიმედო იყო დანიშნულ აღვილზე. მისაღწევად. ვასილ გაგარა, სრულიად მართებულად, განცვიცრებაში მოუკენია მცხეთის ტაძარს (სვეტიცხოველს). ამ იშვიათი ხუროთმოძღვრების ძეგლით აღტაცებული გაგარა წერს: „....а храм в нем велич чуден устроен, асцидной, разной аспид цветов; нигде такова божия милосердия строения не видал такова чюдна“. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით აღტაცება დამახსიათებელია მე-17 საუკუნის საქართველოში რუსეთიდან გამოგზავნილ დაბლომატებისათვისაც. ნიკიფორე ტოლოხანოვს თავის საანგარიშო მოხსენებაში ნიკორწმინდის ტაძრის შესახებ აღნიშნული აქვს: „А перковъ каменная, большая, делом пречудна“. ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შესახებ წერს: „Да в том же большом городе в Кутаин-

си соборная церковь каменная, сооружена престолами обра-
зом¹.

გაგარასათვის „გრუზინსკია ზემლია“ შემქრებელობითი ცნე-
ბაა, როგორც მისი მოვზაურობის აღწერილობიდან ჩანს, მას კო-
გად ესმის, რომ იმერეთი (ბაშიაჩუქების ქვეყანა) და სადაფიანო
საქართველოს ნაწილებია და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის
შედეგად არის ცალკე ერთეულებად ქცეული. გაგარას აღწერილო-
ბაში „ვითარცა ვაჭრის თვალით ნახულის ანარეკლში, როგორდაც
უფრო ძეტად უნდა ასახულიყო ნახული ქვეყნის სიმღიდოებები, პაზ-
რები და საქონელი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არის და ამი-
ტომ ვთვლით უფრო მართებულად, რომ გაგარამ თვეისი მოვზაუ-
რობა, მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, სხვისი მითითებით აღწერა,
ხოლო ამ მითითებაში კი აღწერილობის ქარვა განსაზღვრული უნ-
და ყოფილიყო“.

¹ М. А. Полянектов, Посольство Толочанова и Иевлева в Имер-
етию, 83. 124—125.

ЖИТИЕ И ХОЖДЕНИЕ В ИЕРУСАЛИМ И ЕГИПЕТ
КАЗАНЦА ВАСИЛИЯ ЯКОВЛЕВА ГАГАРЫ¹.

Лета 7142. О похождении Василия, как странника, житием казанца, родом влесенина, прозвищем Гагара, како ходил во Иерусалим и во Египет и во Царьград и како святым местом поклонихся во Иерусалимѣ и во Египте и целова их честие, и паки возвратихся во царствующий град Москву, и на Москве за сие дело его велию честь получих от великого государя царя: учиней бысть гостем.

Некто был победоносец, беды и напасти многие на него приходили, и пожары, и поклэны всякия, зовомый именем Василий, странник, родом влесенин, житием казанец бых, прозвищем Гагара. И жих от юности своея житие свое блудно и скверно препроводил, аки свиния в кале греховне пребых, блуд творяше беспрестанно: не имех бо ни среды, ни пятка, ни торжественного божия праздника; многажды впадаше в блуд и бываше с мужеским полом и з женским: с русским же и бусурманским и скоты многими прегрешних блудом. И того моего скверного и блудного жития было 40 лет, до древности лет жития своего. Потом же на мя наведе господь наш Иисус Христос те многие скорби и печали и беды и напасти. Потом же отпусти на корабли за море человека своего Гаранку в Персицкую землю, и что были имения моего многогрешного раба, и то все потонуло на мори судом божиим. Да в то же время у меня многогрешного жена представися, и я обещахся в печали своей во Иерусалим ити помолитися и у господня гроба приложитися, и во Иердане искупатися, и многим патриархом греческим о гресех своих блудных и скверных покаятися, и потом от них приняти благословение. И как я обещахся ити во Иерусалим, и по обету моему бог мне невидимо почал давати богатство: единым го-

¹ Θαρετον εκπρεπουσσεον ευθεον „Православный Палестинский сборник“—оффб. бззз. 33, 1891, вз. 1—5.

дом и со вторицею против того погибшего, что на море божиим судом погибе, нажил. И потом пойде во Иерусалим. Шел на Грузинскую землю, на город Тефлис. А в Тефлисе 4 города, а стоят на двое, а промеж их идет река, не мерзнет ни зимою ни летом, зовомая Кура, а прошла сквозь гору каменную. А кой грады по той стороне Куры реки, и един град стоит на высокой горе, велми высочей и каменией, нельзя тех градов поткопом взяти; круг того града обведен ров цеделан, камен той горы просечина, а глубина ему 7 сажен, и вода в него идет из горячих колодезев, а божиим созданием тех горячих колодезев есть за 60. И над теми колодезями учинены полаты велми красны, а в тех полатах и в тех горячих колодезях мыются за бани место христиане и бусурманы, а трутца кисеями, а не вениками, а веников и не знают. Да тут же есть близ тех градов, с приезду реки Куры, град под землею зделан, а делал его Иврейского¹ царя Семиона сын. Да вверх по той же реки Куры, близ Тефлиса 12 поприщ, стоит монастырь, а в нем живет митрополит да архиепископ; а храм в нем велми чуден устроен аспидной, разной аспид цветов; нигде такова божия милосердия строения не видал такова чудна. Да против того монастыря, на другой стороне реки Куры стоит гора велми высока, а на ней храм поставлен древних царей, а памятухов нет. Да близ же тое реки Куры есть гора, а на ней просечены 4 окна большие, а жил в той горе людояд, а ел на всякой день по человеку. Да в той же Грузинской земли есть меж гор щели, а в тех щелях заключены двери железными цари Гог и Магог, а заключил де их судом божиим царь Александр Македонский. Да в той же земли Грузинской изобильно пшеницею и ячменем и медом и виноградом. Потом же шел на град Ровян, а близ того града Ровяни 15 поприщ на ровне месте стоит монастырь армянский, а в нем 3 церкви; в одной в соборной церкви препочивает Григорий великий Армении. Да от того же града Ровяни 2 днища есть горы Арагатцкие, а на них Ноев ковчег, а мимо тех гор идет река велми быстра, в лето, и зиму не мерзнет. И потом пойде на Турскую землю в порубежной город Ардаган, а из Ардагани на Карсун город, а из Карсы на Изрум, а Изрума на Севастию, где умучены 40 мученик...

¹ οὗτος ἦρανος: „иврейского“.

თასილ იაპონის-შე ჰაზარილის ჩახარას ცხოვრება და მოგვაურობა
იმრუსულისა და ეგვიპტიში

7142 წელი. ვასილის, ყაზანელი მცხოვრების, პლესენში დაბა-
ლებულის, ვაგარათ წოდებულის, როგორც მოვზაურის თავგადასა-
ვალი, როგორ იმოვზაურა იერუსალიმსა, ეკვიპტესა და კონსტან-
ტინეპოლიში, როგორ თაყვანი სცა წმიდა აღდილებს იერუსალიმსა
და ეკვიპტეში და დაბრუნდა სამეფო ქალაქ მოსკოვში და მოსკოვ-
ში ამისათვის მას დიდი პატივი მიენიჭა დიდი ხელმწიფე—მეფისა-
გნ, მას ეწოდა (მოსკოველი) ვაჭარი.

იყო ვინძე ძრევა მოსილი, მრავალი უბედურებისა და განსაც-
ლელის და ცილისწამების ვადამტანი, სახელით ვასილით წოდებუ-
ლი, მოვზაური (მწირი), წარმოშობით პლესენელი, ყაზანელი მცხოვ-
რები, ვაგარათ გვარდებული. სიყრმითვან თავისი ცხოვრება მრუ-
შობასა და სისახავლეში გაძტარა, როგორც ღორმა ნეხვება და ცოდ-
ვებში მყოფმა. განუწყვეტლივ მრუშობდა ორ იცოდა მან არც თოხ-
შიბათი და ორც პარასკევი, ორც ღვთის საზეიმო დღესასწაული,
მჩავალების მამაკაცებთან და ქალებთან გარყვნილებაში მყოფი,
რუსებთან და შავმაღანებთან და პირუტყვებთან მრავალზების გარ-
ყვნილებაში მყოფი. სეთი ჩემი გარყვნილი და საძაგელი ცხოვრება.
40 წელიწადს გრძელდებოდა, ჩემი ცხოვრების მოხუცებულობამ-
დე. შემდეგ ღმერთმა ჩვენი, იესო ქრისტემ, მრავალი მწუხარება
უბედურება და განსაცდელი მომრვლინა. შემდეგ სპარსეთში, ზღვის
იქეო გემით გავისტუმრე ჩემი კაცი გარანკა და, რაც ქონება მქონ-
და მე მრავალცოდვილს, კველაფერი ეს ზღვაში ჩაიძირა ღვთის გან-
ჯორებით. ამავე ღრის მე ცოდვილს მეუღლეც გარდამეცვალა
და მწუხარებაში მყოფმა აღთქმა მივეცი (ღმერთს) სალოცველად
და ღვთის საფლავზე თაყვანის საცემლად, მდინარე იორდანეში გან-
ბანის და სახერძნეთის პატრიარქებთან ჩემი გარყვნილი და საძაგე-
ლი ცოდვების მონანიების და შემდეგ მათგან კურთხევის მისაღებად
იერუსალიმში გამგზავრების შესახებ. და როგორც აღთქმა მივეცი
იერუსალიმში წასვლაზე, ღმერთმა ჩემი აღთქმისამებრ უხილავად
სიმდიდრის ბოძება დამიწყო. ერთ წელში ზღვაში ჭალუპული ქო-
ნება ოჩმაგათ მოვიგე და შემდეგ იერუსალიმში წავედი. წვევი
საქართველოს ქვეყნით ქალაქ თბილისზე (გავლით), თბილისში 4
ციხე-სიმაგრეა, ხოლო ორთ არის გაყოფილი (იქეთაქეთ) მათ შო-

რის მდინარე გადის, იგი არ იყინება, არც ზამთარში და არც მა-
უხულში, მას მტკვრი ეწოდება იგი მიმდინარეობს კლიფების მოთარი.

იმ ციხეთაგან, ჩოძელიც მდ. მტკვრის შეორე მხარეშეა, ერთი
ციხე მაღალ მთაზეა, ძალიან მაღალსა და კლიფები მთაზე. იმ კა-
ხების აღება გვირაბების გამოთხრით არ შეიძლება, ამ ცი-
ხის გარშემო თხრილია გარს შემოვლებული, მაგრამ იგი ხელით ნა-
კეთები არ არის, ამ მთის კლდე არის თავისთვალ გაჭრილი. მთის
სიღრმე 7 საუკი იქნება და მასში. წყალი ცხელი ჭებიდან (წყაროები)
მოდის, ღვთის განგებით ეს ცხელი ჭები (წყაროები) 60-ზე
მეტი იქნება. იმ წყაროებზე ძალიან ლამაზი პალატებია ავებული
აქ ამ პალატებში, ცხელ ჭებში, აბანის მაგვართ ბანაობენ ქრისტი-
ანები და მამადიანები, წოლო ტანს იხეხენ ქისებით და არა ცო-
ცხებით, ცოცხებით არც იციან. აქვე ახლას იმ ციხეებთან მდინა-
რე მტკვრის დინების მიმართულებით გვირაბის მიწის. ქვეშ გაკუ-
თებული, იგი ივერიის მეფის სიმონის შეილს გაუკეთებია. იმავე
მდინარე მტკვრის აყოლებით, ზემოთ, თბილისის მახლობლად, 12
სტადიონის მანძილზე, მონასტერი დგას. იქ მიტროპოლიტი და ამ-
ჟიგას სკომარსი ცხოვრობს; ტაძარი აქ სასწაულებრივ არის ავებუ-
ლი ფიქალი ქვით, სხვადასხვა ფერის ფიქალით; არსად ასეთი, ღვთის
მოწყალებით, საოცარი ნაგებობა არ მინახეს. ამ მონასტრის პირ-
დაპირ, მდინარე მტკვრის მეორე მხარეს, ძალიან მაღალი მთა არის.
ამ მთაზე ძველი მეფეების ტაძარია ავებული. რომელსაც მასსოვა-
რი არ ჰყავს. იმავე მდინარე მტკვრის მახლობლად მთა არის, ამ
მთაზე ოთხი დიდი სატრემელია გამოჭრილი, ამ მთაზე აღაშიანის
მჭამელი ცხოვრობდა, ყოველდღე თითო კაცს შეამდი იგი. იმავე სა-
ქართველოს ქვეყანაში მთებს შორის ხერელებია, ხოლო ამ ხერე-
ლებში რენის კარებით ჩამწყვდეულია მეფეები გოვი და შავოვი.
ღვთის განგებით ისინი მეფე ალექსანდრე შეკედონელმა დაამწყვ-
დია. იგივე საქართველოს ქვეყანა მდიდარია ხორბლით, ჭვავით-
თაულით და ყურძნით. შემდეგ მე წავედი ციხე-ქალაქ ერევნით. ამ
ციხე-ქალაქ ერევნის მახლობლად 15 სტადიონის დაცილებით, ვაკე
ადგილზე, სომხების მონასტერია, შიგ სამი ტაძარია, ერთში, საკრე-
ბულო ტაძარში, დიდი სომხეთის გრიგოლი განისვენებს. იმ ქალაქ
ერევნიდან ორი დღის სავალზე არარატის მთებია, ამ მთებზე ნორს
კიდობანია, ამ მთებს ჩამოუგლის ძალიან სწრაფი მდინარე, რომე-
ლიც ზამთარ-ზაფხულ არ იყინება. შემდეგ თურქეთის ქვეყანაზე
წავედი საზღვრის ქალაქ არტაანში. არტაანიდან ციხე-ქალაქ ყარს-
ზე, ყარსიდან არზრუმზე, არზრუმიდან სებასტიაზე, სადაც 40 წი-
მებული აწამეს“...

СПИСОК

ХОЖДЕНИЯ В ПОЛЕСТИНСКИХ МЕСТАХ УБОГОГО ВАСИЛИЯ ПО ПРОЗВИЩУ ГОГАРЫ¹

Лета 7142-го году, во дни благочестивого и богочестного венчаньного браздодержателя Российского царства государя царя и великого князя Михаила Федоровича всея Русии самодержца и его царьские державы града Казани некто смиренный и многогрешный в человечех, родом плесенин, жительством в Казани, Василей Яковлев, по прозвищу Гогара, слышах я Василей о Палестинских местах и еже тамо прежде бывших древних святых отец паче числа преумноженно, напаче же всего, еже господь наш Иисус Христос тамо воплотился от пречистыя девы Мария и многа чудеса сотворив, и за наша спасение пострада плотию, и воскресе тридневно, и прииде ми грешному мысль, еже ми тамо и помолитися святым местом и во Еросалим животворящему кресту господню и гробу владычню поклонитися и по прочим святым местом походити.

По мале же времени посла человека своего с товаром за море торговати в Персидскую землю, и божиим гневом за мое окаянство на море бусу со всеми товары розбило, и все имение мое потонуло. А се иные многие беды и напастех приклютша ми ся. В то время и в тех скорбех и напастех аз многогрешный и напаче учал обещатися, ежеб ми тамо быти во Еросалим у гроба господня и в прочих святых местех помолитися и чтоб скорби своей мало некое утешение приобрести. И аbie милость божия последова ми, призре милостивым оком на мое окаянство, яко же рече апостол: иде же умножися грех, тамо преизбыточествова благодать божия. И желаемого надежею не погрешних: и против, того моего погибшего имения подал мне бог и со вторицею. И како пошел во Еросалим и како и грады шел и что тамо видех, то и начну сказывать отчасти.

Ис Казани поехал в Сторохан, а из Старахани пошёл на Грузинскую землю, на град Тефлиз. Тефлиз же град в державе персидского Шахаббаса, а в нем четыре града каменных стоят на двое, а промеж тех градов идет река, зовома Кура, не мерзнет никогда, а пошла та река Кура сквозе гору каменную; и по обе стране тое реки стоят по два города предиреченные, подле самой берег и в те грады приведена ис тое реки вода тайниками, а через реку мост делан меж горами нарежу, велми чуден. Да близ того града Тефлиза

¹ Ծայծո ամռաթշուոս քանակլցնեցն յարնալուան, 83. 47—50.

есть кладези горячие, а над ними устроены полаты велми красны и в тех полатах мыютъо в бани место и трутца рукавками мухоярными; а бани тех зделано до штидесят и болши. Да близ же того града Тефлиза стоит монастырь, а имя тому монастырю пропаметовал, а живет в нем грузинской митрополит, а храм в монастыре велми прекрасен делан и всякою церковною лепотою украшён, растояния же имать от града 15 поприщъ. Да в той же Грузинской земле Башечютскою и Дадиямскою землею, меж горами высокими снежными, и в непроходимых местах есть щели земные, и в них загнаны дивия звери Гог и Магох, а загнал тех зверей в древнем законе царь Александр Макидонский. И мнози мне о тех зверех поведаша, что де недавно те звери было, тот Гог и Магог, с тех щилей вон выдралися, и дадиянской дѣ царь приходил со всею Грузинскою землею и те щили велел камением завалити сверху гор; а кой де были у тех щилей двери железные, и те двери в землю ушли.

А из Грузинской земли пошел на турской город на Ардаган, и от того града день ходу стоит гора Ааратцкая, а на ней лежит все снег; а по верху той горы видети стоит Ноев ковчег, а потому его и знать, что концами стоят на двух горах, а промеж тех гор щиль велика, ис тое щили только того ковчега дно видети. понеже у ковчега дно черно, а на ковчеге снег же лежит той на горе. А гора Ааратцкая велми высока, и мы до нее щили девять дней, и блиско являетца, а дойти не мошно; а кто на нее ни пойдет, и мнози глаголют, что де мало с нея бывают, понеже велми студено на ней, и от тое студени люди помирают. А из Варигана шел на Карабун, а ис Корсы на Ирзум, а из Йирзуума шел на Севастию, где мучении быша 40 мученик...».

გლახაკი ვასილის, გოგარად უოფეთშვილის, პალეოლინის ეჭილეგვი
აოგზაურობის ალორილობის ნუსა

7142 წელს, კეთილმსახურის და ღვთის მიერ გვირგვინ დაუ-
გმულის. რუსეთის სამეფოს სადავეთ-მცყრობელის, ხელმწიფე მეფის
და დიდი მთავრის, სრულიად რუსეთის ოვითმცყრობელის მიხეილ
თევლორქეს-ძის დღეებში, მისი სახელმწიფოს ციხე-ჯალიქის ყაზანის
მცხოვრებმა, ვასილ იაკობის ძე გოგარათ წოდებულმა, მხავალ-
ცოდვილმა, წარმოშობით პლესენიდან, გვიგე პალესტინის და-
ლების შესახებ და იქაურ ძველ წმიდა მამთა რიცხვ—ორმატებუ-
ლების შესახებ. ყველაზე უფრო მეტად ღმერთის ჩვენის იესო

ქრისტეს შესახებ, რომ იგი, იქ (პალესტინაში), ყოვლად წმიდა უბინო ქალწულის მართვისისგან ხორციელებულ იქნა და მრავალი სასწაული ჩანა, და ჩვენი ხსნისათვის სხეულით ეწიმა და მესამე ღლეს ლისდა, და მე ცოდვილს აზრად მომივიდა, მეც იქ წავსულიყავი და მელოცა წმიდა ადგილებში და იერუსალიმში თაყვანი მეცა ღვთის ცხოველმყოფელ ჯვრისა და მეუფის საფლავისათვის და სხვა წმიდა ადგილები მომევლო.

მცირე ხნის შემდეგ გავგზავნე ჩემი კაცი საქონლით ზღვის იქნეთ, სპარსეთის ქვეყანაში სავაჭროთ, და ღვთის რისხვით, ჩემი წყეულობისათვის ზღვაზე ხომალდი საქონლით (დატვირთული) დაიმსხვრა და მთელი ჩემი ქონება ჩაიძირა და სხვაც მრავალი უბე-ღურება და განსაცდელი შემემთხვა. იმ ღროს, იმ მწუხარებასა და განსაცდელში მყოფა, მე მრავალცოდვილმა უურო მეტად აღთქმა მოვეცა (ლმერთი), რომ იერუსალიმში წავიდოდი ღვთის საფლავს და სხვა წმიდა ადგილებს მიმოვილოცდი და მე მწუხარებაში მყოფ მცირე ნუგეშს ვიბოვიდი. და იმ კიდეც ღვთის წყალობაც მოჰყვა (ჩემს აღთქმას), მოწყალების თვალით შეხედა (ლმერთმა) ჩემს წყეულობას, ვითარცა თქვა მოცეკვლმა: სადაც გამრავლდეს ცოდვა, იქ ჭარბობდეს მაღლი ღვთისა. და ჩემი ღაყაჩული ქონება ღმერთმა ორმაგად დამიბრუნა. როგორ წავედი იერუსალიმში და რა ქალაქები როგორ მოვიარე და იქ რა ვნახე ამის ნაწილობრივ აღწერის ვიწყებ (ქვემოთ).

ყაზანიდან ასტრახანში გავემგზავრე, ასტრახანიდან კი საქართველოზე და თბილისის ციხე-სიმაგრეზე. თბილისის ციხე-ქალაქი სპარსეთის შაპაბასის სახელმწიფოოშია. (თბილისში) ოთხი ციხეა, ორი იქეთ, ორი აქეთ, ხოლო ამ ციხეებს შუა მდინარე გადის, მტკვარი ეწოდება, არასრდეს არ იყონება. ეს მდინარე მტკვარი ელოოვან მოების შუა გადის და ამ მდინარის ორივე მხარეს ორი ციხეა ზედ ნაპირებზე გამოკვეთილი. ამ ციხეებში იმავე მდინარიდან წყალია მიყვანილი ფარული გვირაბით, ხოლო მდინარეზე მოებს შორის ხიდია, ძალიან ლამაზი. იმ ციხე-ქალაქ თბილისის მახლობლიდან ცხელი ჭებია და ამ ჭებზე პალატებია გამართული, ძალიან ლამაზებია და ამ პალატებში ტანს იბანენ იბანოს მსგავსად, შალის თაომანებით; სეთი აბანოები სამოცი და მეტი იქნება ავებული. იმ ციხე-ქალაქის, თბილისის, მახლობლიდან მონასტერი დგას, იმ მონასტრის სახელი დამავიწყდა, იქ საქართველოს მიტროპოლიტი ცხოვრობს. ამ მონასტრის ტაძარი ძალიან ლამაზად გაკეთებულია და საეკლესის სამკაულებით არის გამშვენიერებული, ციხე-ქალა-

ქიდან 15 სტადიონის მანჩილია, და იმავე საქართველოს ქვეყანაში ბაშიაჩუქების (იმერლების ი. ც.) და დადიანის სამფლობელოებში, მაღალ თოვლიან მთებს შორის, გაუგალ ადგილებში მიწის ნაპრალებია და შიგ საოცარი მხეცებია (ან და დევები ი. ც.) შემწყვდეული გოგი და მაგოგი, ხოლო ეს მხეცები იქ ძველი დროის მეტებმ, ალექსანდრე მაკედონელმა, შერეკა. ბევრი ამბები მითხრეს ამ მჩეცების შესახებ. დიდი ხანი არ არის, რაც ეს მხეცები, გოგი და მაგოგი, იმ ნაპრალებიდან გამოვარდნენ და დადიანი მეტე მთელი საქართველოს ძალებით მოვიდა და ის ნაპრალები მთების შევერცვალებიდან ქვებით ამოქალეს და ის რეინის კარები, რომელიც იმ ნაპრალებს ჰქონდა, მიწით დაიჯარა.

საქართველოდან თურქეთის ქალაქ ორტაანზე (უნდა იყოს ერევანზე ი. ც.) წავედი, და ამ ქალაქიდან ერთი დღის სავალზე ორარატის მთა დგას, რომელზედაც სულ თოვლი დევს. ამ მთის მწვერვალზე ნოეს კიდობანი მოჩანს, იმ მთებს შუა დიდი ხეობაა და იმ ხეობიდან კიდობანის ძირი შეიძლება დაინახო, იმიტომ, რომ ძირი შავია, ხოლო თვით კიდობანზე თოვლი დევს, იმ მთაზე რომ არის ის თოვლი. ხოლო ორარატის მთა ძალიან მაღალია, ჩევნ ცხრა დღე ვიარეთ მთამდე, სანამ მცვიდოდით, მაგრამ ახლო გეჩვენება, მისვლა კი არ შეიძლება. ვინც არ წადა იმ მთაზე, ყველა ამბობს, რომ ცოტა ბრუნდება (ცოცხალი), რადგანაც ძალიან ცივა ზევით და ამ საცივისაგან ხალხი კვდება. ხოლო ერევნიდან ყარსზე წავედი, ყარსიდან კი არზრუმზე, ხოლო ორზრუმიდან სებასტიაზე, სადაც 40 წამებული აწამეს“...

არსენ სუსანოვის ცნობები საქართველოს შესახებ
XVII ს.

არსენ სუხანოვის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა სერგი ბელოკუროვს ეკუთვნის. აქ დაწერილებით არის მოთხრობილი და დოკუმენტებით თუ ნარატიული ძეგლებით დამტკიცებული არსენ სუხანოვის ვინაობა და თეოტლი წლების ვანძილზე მისი საქმიანობა.

არსენ სუხანოვი, ვასილ გაგარისავით, შემთხვევითი მოგზაური არ არის, მისი მოგზაურობის აღწერილობაც არ შეიძლება გაგარის მოგზაურობას მიაგავდეს. სუხანოვი მე-17 საუკუნის მოღვაწე განათლებული რუსი არის. გეგმით მოგზაურობს, მას გარკვეულ ამოცანები აქვს და არა მარტო სასულიერო ხელისუფალთა დაფალებებს ასრულებს, არამედ საერო ხელისუფალთაც. ამდენად არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ მდიდარია, იგი საგარეო და საშინაო ცოლიტიკაში ჩახედული კაცია, მართალია ის ბერად აღკვეცილი მოღვაწეა, მაგრამ მის მახვილ თვალს საერო ცხოვრებიდანაც მრავალი შეუნიშნავს და თანმიმდევრულად აღუწერია.

არსენ სუხანოვის ნათესავობისა და ერისყაცობის პერიოდის შესახებ ძალიან მწირი ცნობებია შემონახული. ვიცით, რომ არსენი 1633 წელს არქიდიაკონი არის, იგი ამ თანამდებობაზე 30—35 წლის უნდა ყოფილიყო, ამაზე ახალგაზრდა კაცს არქიდიაკონობა ალბათ იშვიათად მოუწევდა. ამ ვარაუდით არსენი მე-16 საუკუნის ბოლოს ან მე-17 დასაწყისში უნდა დაბადებულიყო. იგი ტულის გუბერნიის სოფ. სპიცინდან უნდა იყოს. სერგი ბელოკუროვმა იშვიათი ოსტატობით დაადგინა, რომ არსენ სუხანოვს ბერად აღკვეცამდე ანტონი ერქვა, და იგი გამუდმებით რუსეთში მცხოვრები იყო. ამ უკანასკნელი ფაქტის ხაზგასმა იმისათვის გვჭირდება, რომ მას თავის აღწერილობაში ერთგან შამხალ-ბატონთან საუბარი აქვს დიალოგის სახით აღწერილი. ის 1652 წლის მოგზაურობის აღწერილობაში ერთგან წერს: „შამხალი ესაუბრა თარჯიმანს არსენის შესახებ, სად იყო ის და ახლა სად მივემგზავრებოდი. შამხალმა იყო-

თხა: „დიდი ხანია მოსკოვიდან წამოსული ხარ? არსენმა უპასუხა: ამის წინათ მოსკოვიდან ახალგაზრდა, თხუთმეტი წლის, წამოვედი და შემდეგ ისევ მოსკოვში დავბრუნდი, მას შემდეგ 7 წელიაომ“. როგორც ვხედავთ იგი აქ თავს იერუსალიმის მცხოვრებათ ასაღებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ის სიმართლეს არ ამბობს აქ, მას ეშინია უარი არ უფხრან მოსკოვისაკენ გამგზავრების ნებართვაზე. სწორედ ამ წლებში რუსეთსა და სპარსეთს შორის შეხლა-შეძობლას ჰქონდა ადგილი, რუსეთის ვაჭრებს შემახაში გზა შეუკრეს და რუსეთში არ უშვებდნენ. არსენსაც იერუსალიმელობა მოუგონებდია. ბელოკუროვმა დაამტკიცა, რომ არსენი რუსეთში იმყოფებოდა იმ წლებში.

არსენ სუხანოვი ბერძნული ენის კარგი მცოდნე ყოფილა. მე-16—მე-17 საუკუნეებში რუსეთიდან საგანგებოდ იგზავნებოდა ახალგაზრდობა ბერძნული ენის შესასწავლად კონსტანტინოპოლიში, ათონსა და იერუსალიმში. მაგრამ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც მოსკოვში და მოსკოვს გარეთ ზოგიერთ მონასტერში ჩამოსული იყვნენ ბერძენი სასულიერო პირები, რომელნიც ადგილობრივ ასწავლიდნენ, საგანგებოდ ამისათვის მოვლენილ ახალგაზრდებს, ბერძნულ ენას.

1637—1640 წლებში, როცა ვოლკონსკის მეთაურობით კახეთში, ოეიმურაზ პირველთან, ელჩობა გამოიგზავნა და მათ შორის სისულიერო პირების ერთი ჯგუფიც იყო ქართული ქრისტიანული ეკლესის შესამოწმებლად, ამათ შორის არსენ სუხანოვიც ყოფილა. სასულიერო პირთა ამ კომისიას კოსტრომის იპატის სახელობის მონასტრის იღუმენი იოსები მეთაურობდა, მაგრამ, როგორც ახლა გამორკვეულია, კომისიის საქმეებს არსებითად არსენი აწარმოებდა და მთელი მასალა. რომელიც ქართული ეკლესის ვითარებას შეეხდა, არსენ სუხანოვის დაწერილი უნდა იყოს. არსენ სუხანოვი, საქართველოში გამოვზავნილ ელჩობის შემადგენლობაში მყოფი, თითქმის ორი წელი ცხოვრობდა კახეთში და აქაურ ვითარებას ეცნობოდა. ელჩობის შემადგენლობაში მყოფ სუხანოვს თავისი ამოცანა საქართველოში, ასე აქვს ჩამოყალიბებული თავის განცხადებაში:

«...для рассмотрения Иверского царства народа веры, как они веруют и нет ли у них каких прибыльных статей иных вер, да будет у них есть что несправчivo, и нам велено им о том говорить, чтобы они в том исправилися».

როგორც არქიმანდრიტ იოსებისა და არსენ სუხანოვის მიერ შედგენილი საანგარიშმ მოხსენებიდან ჩანს, რუსეთის პატრიარქის

კომისიას და მისი შევრების შენიშვნებს კახეთის სამღვდელოებაში არავითარი ანგარიშით არ გაუწია. ორჩიეპისკოპოსმა ზებედეგმ განუცხადა იოსებ ილუმენს, რომ ჩვენ თქვენთან სასაუბროთ თავისუფალი დრო არა გვაქვსო. ხოლო, როცა იოსებ ილუმენმა თეიმურაზ მეფეს შესჩივლა, მეფეს განუცხადებია, რომ სალაშქროდ მივდივას და რომ დაგბრუნდები სარწმუნოების და ლელელთ მსახურების საკითხები მაშინ განვიხილოთ, ისე კი ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოება რუსეთის გაქრისტიანებამდე არსებობდა!

როგორც ცნობილია, ამ დროს რუსეთის კულტების საკუთარი საქმეები არ ჰქონდა მოწესრიგგბული, იქ სასტიკი ბრძოლები იწყებოდა დაბალსა და მაღალ სამღვდელოებას შორის, პატრიარქმა ნიკონმა თავისი ცეზაროპაპისტული მისტრაფებანი გამოაშკრავა, და იწყო რუსული ქრისტიანული ლიტერატურის ბერძნულ დენდებთან შეჯერება, ამ ნიადაგზე საეკლესიო განხეთქილებაც წარმოიქმნა რუსეთში. არსენ სუხანვი ნიკონ პატრიარქს ედგა გვერდით, ივა რუსეთის კულტების მოწინავეთა წრეს ეკუთვნოდა უდავოთ, მაგრამ არსენ სუხანვისა და მის ანაფორიან კოლეგების მოღვაწეობის კახეთში კვალი არ დაუტოვებია, და თუ ამ მასალაზე მკითხველის ყურადღება მაინც შევაჩერეთ, მხრილოდ იმიტომ, რომ ხაზი ვაგვესვალის აკეთებდა სუხანვი საქართველოში მე-17 საუკუნის ოცდაათონ წლების მიწურულში და როგორ გუცნო ის მაშინდელ საქართველოს ერთ ნიჭილს.

1649 წელს სუხანვი, საეკლესიო და სერო ხელისუფლების დავალებით, იერუსალიმში გაემგზავრა, მაშინ რუსეთში მყოფ იერუსალიმის პატრიარქთან პაისისთან ერთად. არსენს საქმაოდ რთული დავალება ჰქონია, მას უნდა შეექრიბა ცნობები აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიების შესახებ, მას უნდა აღეწერა „წმინდა აღგილები“ და ბერძნული საეკლესიო იერარქია. მასვე ევალებოდა რუსეთისათვის საინტერესო პოლიტიკური ბასიათის ინფორმაციის შეკრება და მოსკოვში გადაგზავნა. თვით არსენ სუხანვის ცნობით, იერუსალიმისაკენ გამგზავრების წინ, მას პირადა ესაუბრო და დავალება მისცა რუსეთის მეფემ: «(Царь Алексей) говорил ему своими устами, в Покровском в комнате проповедать на-крепко про мощи святых великомученицы Екатерины»¹.

¹ ვთლკონსკის ელჩობის შესახებ იხ. მ. ა. პოლივექტოვის ნაშრომი: „Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640. 1937 № 6. ხოლო რუსეთის პატრიარქის სასულიერო კომისიის საქმიანობა შესახებ საქართველოში მასალები იხ. С. Белокуров, Арсений Суханов. I. 1891 г., გვ. 138—164.

² მ. პოლივექტოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 187.

გამგზავრების წინ სუხანოვს მეფისათვის არზა მიურთმევია, რომელშიც სამგზავრო ხარჯებისა და ულუფის მომატებას ითხოვდა. არზაში აღნიშნული იყო: «Иерусалимский путь дале и нужнее грузинского, а без твоего государева жалованья, без подмоги мне на такой далней путь ехать нельзя».

შეფის განკარგულებით არსენ სუხანოვისათვის ხაზნიდან მიუციათ სხვადასხვა სურსათის გარდა 150 მანეთი, რაც პირველი მსოფლიო ომამდელ 2550 ოქროს მანეთს უდრიდა. წყაროში აღნიშნულია „არსენს მიეცეს იმდენი, რამდენიც საქართველოში 1637 წელს გაგზავნილ იღუმენ იოსებს მიეცაო“.

მოსკოვიდან გამომგზავრებული არსენ სუხანოვი იძულებული გამხდარი გზიდან დაბრუნებულიყო მოსკოვში. ქალაქ იასში ყოვნის დროს, არსენს ერთი ვაჭრისაგან გაუგია, რომ „თვითმარქვია“ („самозванец“) ტიმოშეა ანკუდინოვი უნგრეთის მთებში (კარპატის მთებზე საუბარი) იმალებოდა. ტიმოშეა თავს ვასილ შუისკის შვილად, ივანე შუისკათ, აცხადებდა. ეტყობოდა, რომ ალექსი რომანოვის დროის რთული კლასიურ წინააღმდეგობით ესარგებლა უნდოდა და, ცრუ დიმიტრის შეგავსად, მოსკოვის ტახტზე წამოსასკუპებლად ემზადებოდა. რუსეთის მთავრობა კარგა ხანია რაც ტიმოშეა ეძებდა და მის დასატუსაღებლად საგანგებო დავალებით ხალხს გზავნიდა. ტიმოშეას შესახებ მიღებული ინფორმაცია რუსეთის მთავრობისათვის ფრიად საყურადღებოთ მიუჩნევია არსენ სუხანოვს და ბესარაბიიდან მოსკოვში დაბრუნებულია. იერუსალიმის პატრიარქი, არსენის მოსკოვიდან დაბრუნებას დაელოდა. არსენი 1650 წლის იანვარში გამოისტუმრეს მოსკოვიდან. მას ახლა სხვა დავალებაც დაკისრეს. 1649—50 წლებში, როგორც ცნობილია, პოლონეთსა და უკრაინას შორის ბრძოლები მიმდინარეობდა და მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგიოს აინტერესებდა, რით დასრულდა ხმელნიციისა და პოლონეთის მთავრობის საზაფო მოლაპარაკება და როგორი განწყობილება სუფევდა დნებრელ კაზაკობას შორის. არსენ სუხანოვი კიევში მისულა, ყოველივე დაწვრილებით გაუგია, პოლონეთის მეფესთან დადებული საზაფო პირობების მუხლები გადაუწერია და მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგიოსათვის გადაუგზავნია.

კიევშივე გაუგია არსენის, რომ ბერძენი ბერები ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ, ყალბი ბეჭდებით ბეჭდავდნენ და აღმოსავლეთის პატრიარქების სახელით რუსეთში მიდიოდნენ, რუსეთის

მთავრობას „წმინდა ადგილებისათვის“ შეწირულებას თხოვდნენ
და მიღებული შემოწირულებიდან ყოველივეს ითვისებდნენ. ჩუქე-
თის წარმოების ნაჩუქაზ ხატებს ჰყიდლნენ, ხატები და ჩუქეთის
სტამბის წიგნები უწმინდურათ მიაჩნდათ. წიგნები ათონზე დაუწ-
ვავთ. ამას გარდა: «московских и киевлян русских людей
ненавидят, а которые и приехали и тех называют собаками»¹.

1650 წლის პარილში არსენ სუხანოვი პატრიარქ პაისის შეე-
ყარა ვლახეთში, ქალაქ ტერგოვიშეში. აქ სუხანოვს დიდიანის მო-
უხდა დარჩენა, რადგანაც პატრიარქი პაისი აქედან წასვლას არ უჩ-
ქაროდა, ხოლო არსენის იერუსალიმში უპატრიარქოდ გამგზავრება
არ სურდა. არსენის თურმე ხანგრძლივი კამათი გაუმართეს ბერ-
ძენმა ბერებმა, ქრისტიანულ სარწმუნოების დოგმატური და საეკ-
ლესით ორგანიზაციული ხასიათის საკითხების გარშემო.

აქ არსენ სუხანოვს ამბავი მიუღია უკრაინის რუსეთთან შეერ-
თების მოძრაობის შესახებ და მაშინვე ჩიგირინოში წასულა ბოგდან
ხმელნიცეკისთან ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. უკრაინისაკენ
მოგზაურობის დროს ტიმოშკა ანკუდინოვის უკრაინელ კაზკებს
შორის ცხოვრების შესახებაც ინფორმაცია მიიღო მან და ჩიგირი-
ნოში მისვლისას შეპყრობილი ტიმოშკას მოსკოვში გაგზავნა მოი-
თხოვა. კაზაკური ადათით, რაკი მათთან თავშეფარებულ კაცის გა-
ცემა არ შეიძლებოდა, ტიმოშკას კაზაკებმა უბრძანეს უკრაინის
დატოვება და სურვილისამებრ საცხოვრებელი ადგილის ამორჩევა.
არსენ სუხანოვმა აქ მოლაპარაკება აწარმოვა ბოგდან ხმელნიცეკი-
თან უკრაინის რუსეთთან შეერთების შესახებ.

ჩიგირინოდან სუხანოვი ისევ მოსკოვში გაემგზავრა და წერი-
ლობითი მოხსენებითი ბარათი მიართვა საგარეო საქმეთა სეგანგი-
ოს. ამდენად, მხოლოდ 1651 წელს გაემგზავრა არსენ სუხანოვი
იერუსალიმისაკენ. ამ ხნის განმავლობაში არსენისა და პაისის ურ-
თიერთობა გამწვავებულა. არსენის გაუგია, რომ კონსტანტინოპო-
ლის პატრიარქის მკვლელობაში პატრიარქ პაისის მიულია მონაწი-
ლეობა და ამის შესახებ მოსკოვში ინფორმაცია გაუგზავნია. ისე
რომ პატრიარქის ავტორიტეტი საგრძნობლად შეუტყევია მოსკოვში.

კონსტანტინოპოლში არსენ სუხანოვს დაუთვალისერებია ლირს-
შესანიშნაობანი, განსაკუთრებით ქალაქის ციხე-სიმაგრეების შესა-
ხებ შეუკრებია ცნობები, საფიქრებელია, რომ ასეთი ზეპირი ღავა-
ლებაც უნდა ჰქონოდა მას მოსკოვიდან.

¹ С. Белокуров, Арсений Суханов... ვვ. 200.

რადგანაც პისი პატრიარქთან თანამგზავრობა აღარ შეიძლებოდა ეს უკანასკნელიც არსენი სუხანოვზე განრისხებული იყო, მოსკოვში მის შესახებ გაგზავნილ ინფორმაციის გამო, არსენი ამ-ფილიქე კონსტანტინოპოლელ არქიმანდრიტის ხელის შეწყობით. ხომალდით ეგვიპტისაკენ გამგზავრებულა, გამყოლათ მას ალექსანდრიის პატრიარქის ერთი ხელქვეითი გაყოლეს. გზაზე არსენი ავვირდება დასახლებულ პუნქტებს. კუნძულ ხიოსზე მას ორი კუირა უცხოვრია და შესანიშნავად აღუწერია ხიოსელები. ჩოგორც სასულიერო პირები ისე საერთო მოსახლეობა. ამ ცხოვრებიდან გამდგარ ბერს, არსენ სუხანოვს, ხიოსის ჰკლესიაში მლოცველებისათვისაც თვალი გადაუვლია და ქალებიც მხედველობიდან აჩ გიმარვია: «Жены Греции, рубашки не застегают, груди все голы, вся шея и груди до сисек все наго и держат чисто голаздо, якобы для прелести».

აქედან არსენი ალექსანდრიაში მივიდა და აქ მისი მახვილი თვალით და ყურით ნახული და გაგონილი შვენივრად აღწერა. ალექსანდრიიდან იგი ქაიროში მისულა, სადაც საეკლესიო წრეებს კარგად მიუღიათ. არსენ სუხანოვი მეორე რუსი უნდა იყოს, რომელმაც ქაიროს გზით იერუსალიმში იმოგზაურა მოსკოვის მთავრობის დაგალებით. პირველად 1583 წელს იოანე IV მიერ იქნა ეგვიპტის გზით იერუსალიმში მივლენილი ტრიაფონ კორონეინიკოვა მოწყალების დასახრივებლად „წმინდა აღგილების“ მონისტრებში, თვით იოანე IV—მიერ საკუთარი ხელით მოკლულ შვილის სულის ხაოსად და სინან მთაზე ტაძრის ასაგებად.

სუხანოვს ქაიროს დათვალიერების შემდეგ, საჭირო ნივთები შეუსყიდია. მას პირამიდებისათვისაც ყურადღება მიუქცევია:

«... древних фараонов могилы, достойные величому диву... велики добре, что горы учинены, снизу широки, а сверху заострены...».

აქ არსენ სუხანოვს, მიუხედავად მისი განათლებისა, თავი ვერ დაულწევა ზოაპრებისა და ლეგენდებისაგან. თუმცა ცილილ მოსმენილის სინამდვილე შევმოწმებინა, ბევრი უძიებია გამოუკითხავს, მაგრამ ისეთ დამარწმუნებელ პასუხებს ლებულობდა „სანდო“ პირებისაგან. რომ ბოლოს დაუკერებია ასეთი ზღაპარი: ქაიროს მახლობლად მდ. ნილოსის გაღმა, ფარაონების პირამიდების გვერდით, არის დიდი სწორი ტიალი აღგილი, სადაც თითქოს ყოველწლიურად. ყოველ დიდ პარასკევს (წითელ პარასკევს), მიცვალებულები ამოდიან მიწიდან და ეს თვალუწვდენი ტიალი აღგილი თითქოს მათი გვამებით მოიფარება; ხორცი მიმხმარი აქვთ ძვლებზე. არა ერთ მნახველს თითქოს სახლში წაულია მიცვალებულთა ნაწილები. ამაღ-

ლების დღესასწაულამდე არის ეს მიცვალებულთა ნაშილები და შემდეგ თითქოს ისევ ქრება.

ეგვიპტეში არსენის საუბრები პქონია ქრისტიანულ ეკლესიის საკითხებზე, მოსკოვიდან დავალების თანახმად. არსენი თვალ-ყურს ადგვნებს აქ ბერძნებს და ყველაფერს, იწერს სათანადო წიგნებში. ქაიროდან არსენი იერუსალიმში გაემგზავრა. ექვსი თვის განმავლობაში იერუსალიმში იმყოფებოდა არსენი და აქაც ბერძნებთან საუბარსა და მათ საქმიანობაზე დაკვირვებაში ატარებდა დროს. აქაც ყველაფერს იწერდა. ბერძნები თურქე შეშფოთებული უკვნენ ამის გამო და არსენის ჩანაშერების დაწვას ნატრობდნენ. ეშინოდათ რუსეთის მეფეს ყალბი ინფორმაცია ამ მიაწოდოს და რუსეთიდან მდიდარი შეწირულება ამ შეწყვეტილიყო აქეთ.

ერთგან სუხანოვს აღნიშნული იქნ. რომ გეთსამანიაში მან წირვა მოისმინა: „Которую совершил пиверской поин“. არსენ სუხანოვისა და გაგორას მოგზაურობის აღწერილობებში, იქ, სიდაც იერუსალიმის „წმინდა ადგილების“ შესახებ არის საუბარი, თვალში ხვდება ადამიანის ის გორემოება, რომ ქართულ მონასტრებზე საუბარი ამ არის. გაგორას ერთი სიტყვაც ამ იქნ. ნათქვამი ქართველებსა და ქართველების მონასტრებზე. არსენ სუხანოვს კი იერუსალიმის აღწერილობის მასალებში ერთგან ქართველი მლვდელი ყავს მოხსენებული, ხოლო მეორე ადგილს ქართველების ყოფილ კუთვნილ ადგილს ასახელებს. ის წერს: «... из той церкви еще на низ лестница в пещеру II ступеней, идя же царица Елена обрела крест; то место наперед держали и вери; а ныне половину идя же лежал крест Христов, тут держат греки, а другую половину держат франки и на своем месте служат литургию»¹.

მე-17 საუკუნეში, საქართველოს, პოლიტიკური დაქულმაცების შედეგად, იერუსალიმსა და სინას მთაზე მონასტრები დაუკარგავს, კათოლიკები, ბერძნები და სომხები, ცულის საშუალებით, ქართველების ქონებას თურქეთის სულთანს თავისად ამტკიცებდნენ. ამ მხრივ მეტის-მეტად საყურადღებო ქართველი ქალის მართი მონაზონის წერილი იერუსალიმიდან გრიგოლ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოზისადმი გამოგზავნილი. ეს წერილი განხვევთიმე თაყაიშვილმა თავის „საქართველოს სიძველენის“ I წიგნში დაბეჭდა. იხ. გვ. 36—39. სამწუხაროთ ამ წერილს თავი და ბოლო

¹ Православный Палестинский сборник. 1889. вып. 21. Проскинитий Арсения Суханова. გვ. 82.

დაზიანებული აქვს. ამის გამო მისი ზედმიწევნით დათარიღება არ ხერხდება. განსც. ექვთიმეს წერილი 1650—1658 წლებით დაუთარიღებია, გრიგოლ კათალიკოსის მოღვაწეობის წლების საფუძველზე. მართა მონაზონის ამ წერილში იმ დროის ქართველი ქალის შესანიშნევი ტიპი მოჩანს, სამშობლოს ქონების გადასატენად მებრძოლი, ჰკვიანი, ენერგიული და თავის დროისათვის განათლებული. იერუსალიმში, მე-17 საუკუნეში, ქართველების მონასტრების გარშემო არსებულ მდგომარეობის დასასურათებლად, ზედმეტი არ იქნება მართა მონაზონის წერილის ტექსტის მთლიანად აქ მოტანა. წერილს ვბეჭდავთ ისე, როგორც ეს ექვთიმე თაყაიშვილს აქვს გამოცემული.

„კაზა გრილს... დარჩომილი ცოდვათა ჩემთა მიერ მოვლინებული, ომ... საქართველოს ამბის დანატრებული, მარიამ დედოფლის აქეთ სისხლის ნოხევით, ამ დიდს დავითის ქალაქს და წმიდას იერუსალიმს მავალი, ცოდვისაგან დახშულის პირით მაგათის ტახტისა, და დოვლათისა, და უფროსად ამ წმიდად იერუსალიმად მოვლინებისათვის მხურვალედ ჩუდუნებით ცრემლით მტირალი, წმიდა საფლავსა და სისხლმეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო, ხელის დებადცა ულიჩი, მონა უფლისა და ერდგულად მაღიდებელი მაგათი, მონა ზონი მართა ვკალრებთ თე კირ პროტოსინგელო, უფალსა და მეუფესა ჩვენსა, ზეცის კაცსა და ქვეყნიერსა ანგელოზსა, სავანესა და პალატსა წმიდისა სულისასა, თვით ბრძნესა, თვით ვრცელსა, თვით ფილისოფოსსა, რიტორსა და გამომეტყულსა, მსმენელსა და მსწრაფულ მიმგესა მსაჯულსა და მართლმსაჯულ მწყემს—მთავრად განჩინებულსა, უზესთავს და აღმატებულს, ხარისხზე ხელ განპყრობ ყოველთათვის უშურველად მკურნალსა, და გვარის მსახველსა, წმიდათ წინასწარმეტყველთა ნაქადგევსა და გრიგოლის და იოვანეს მღლის მეტქისაგან გამომეტყველებულსა, და მათ სახელდებულსა, და მაგათა პატრიარქადვე უზრთხეულსა,—და აწ მრავალი რაღა თავი მოვაწყინ: ბატონს მრავალი შეშით და მოწიწებით თაყვანისცემა, მაზარის კალთის განკრძალვით შემთხვევნა და, თუ მაგათი მოლოდინი სული მედგას, მეორეს წელიწადს კიდევ მაგათის მშვიდობის გავონების ნატრა მიკალრებია.

რასთვის ასრე იქმნენ? ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყნისა? თუ ამისთანა კათალიკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი უჩჩ იქმნების მაგათის ბრძანებისათვის? რასთვის კრებას არ იქმნენ ეფისკოპოზი? რომ ქრისტიანს მოუჭირონ, ხომ ყველა დამონდების? ვისი შიში აქუთ უფროს უფლისა? ასრე არ მო-

ისხურებს საღთო? „უკეთო არს მოსავ ყოფა უფლისით, ვიდრე გაცი-
საო, კ’დ ხოლო შიშისაგან თქვენისა არ გვეშინდისო“. დავით მამა
უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთო დაგივიწყო შენ იერუსა-
ლიმ, დაივიწყო მარჯვენა ჩემიო“. აქ არ მობრძანდით, მაგრამ
უნებლიად ერთს წამეს არ მოვლენ ყოველი სული, მავთი თავის კი-
რიმე, აქ სიონს არ ეგულების მოსლად ბევრეულთა გუნდითურთ
უფალსა? ამისთანა რა გასჭირო არის, რომ აქაურობა ასრუ დაკარ-
გეთ? ეგებ არ მოხსენებოდეს, თვარემ საქონელი და სიმდიდრე
ორივე აქ არის, ეს სოფელიც და მერმეცა. აქური ამბავი ამ ჩემინ
შეიღმან ვერ ნახა, თუ რა დიდი გვირვება არის მავისთანა, რომ
მონასტერი ასრუ დაკარგეთ? ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ
იყო, რომ ნაწილ სასუებელ არს მისი სახელი? ვერე იქნება? წამობ-
რძანდით, ამათა ოლარ უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტერები, საქართვე-
ლო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშმ საქონელი გამო-
ზიდეს ჩვენის მონასტერების! ამანათი არის, ხვალ ზეით პატრიონები
მოვლენ და ეშურებიან. ბერები გამოგზავნეთ, თავი თქვენ ბრძანდე-
ბი, გამოიდევ პირად ამ ცხოლს—მყოფელის საფლავისა და ჭვარის
სიყარული. ახლა ჩემი სვიმონ—ოსტატი და ბრძენი შეიქნა, აქური
ამბავი დიად კარგად შეიტყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს,
მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართების.
ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა ვართ და მონასტერს ნუ
ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ-
ანპავი შევიტყოვო, მე წინ მოვუძღვებიო. და ახლა ცოტა ნამუსი
დაადგეს, ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული
ამისთვის კდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშო-
ნის და ოქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს წმინდა ადგილი
სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლამის რომ სულ გამოვა-
რდეთ. წმიდას საფლავზედ ფრანგი უამს წირავს. ერთის სიტყვით
მისცა ჩვანქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურგის ბატონების ზია-
რეთი და სალოცავი იყოსო, არა კადრით რამეოთ“. სმა დიდი არის
მავ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნით
სტაუბილს რა იქნება? დიდი სირცევილი არ არის ეს, რომ პატიო-
სანი ვარდი წმიდა იაკობის მონასტერი სომხებმა იშონეს: ჩვანქარ-
მიატყუეს და ახლა სომებს აქუს. ბეთლემი ფრანგმა იიღო. მაგრამ
მაგათი შიში და მოლოდინი აქუს, და ჩვენი სამწირველ ისრევ მორ-
თული არის, თუ არ მოხვალთ დაქვევენ. საბრალო პატრიარქმა რა
ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ
წვანთქართან, ისრევ მოქცემსთ. უსაცილოთ გოლგოთაც და ცესა-

მანის დაიტებას ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა დაძირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჭვარის მამა გაიჩინეთ. რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანის, თვარემ წახდა საქმე. უსათუოდ შევით გამოაგზავნეთ კაცი და საპატიოარქოშიღ სტაბოლს მოვიდეს, და იქიდამა ვეზირი ნახოს. თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგვეკარგვიან. წუ იქთ სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და ვინც ბატონები იყოს, ან გურის ან ოდიშს, ან იმერეთ და ქორთლით, პირობა დასდევით და ამ გვარად კრება და ვეზირობა ქნით. თუ იერუსოლიმი დაგვეკარგვიან, რასღა სჯული და ან რასღა პირვერის წერა გვეწებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მანდაური შიში უფროსი მოსდის. მოვევემარენით, თავს აღარ იქნა, თხუომეტი წელი არის პატრიარქი არ მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ ხვანიქრის წიგნშიღ, რომ ანბევი მოვიდა იერუსოლიმი გავიცემიათქმ, ჩვენი ბერი გავგზავნეთქმ და სალოცავი რაც ქართველის არის, ყველა გაგრიებიათქმ, ან დაგვათათრე, ან დაგვხოცე, და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვაროვამოქმ, თვარია არ იქნება... თვარია. ..კათალიკოზის მეოხებამ ვაი რომ... საფუძველი იშენეთ, ტაროსი არის ეცადეთ... საქციელი ზოგი ნუ გვარს აგრე უქნია... არ უნდათ თქვენ აქაური ანბავი. (ბეკედი წარწერა არ განირჩევა) განის აშიაწე სწერია: მაგრამ მაგას ნუიქთ, ქართველი კიდური არიან, რაც ამ მონასტრის მამულები არის, თქვენ ნახეთ და გააჩინეთ...“.

მოყვანილი საბუთიდან აშკარად ჩანს, რომ ქართველების მონასტრებს იერუსალიმში სხვა ეპატრიონება, მონასტრები მიტოვებულია, საქართველოდან ბერები იერუსალიმში ველარ მიდიან. იქ მყოფთა გამრავლება კი არ ხდებოდა, ბერების უკანასკნელი თაობა რავი გადაშენდა და ახალი საქართველოდან ვერ მივიდა, ღრმ უშოვიათ და თურქეთის ხელისუფალისაგან მფლობელობის ნებართვა ფულით და სხვა საჩუქრებით მიუღიათ, ვისაც კი ეს მოუსურვებია. მართა მონაზენის წერილიდან ჩანს, რომ იერუსალიმის ზოგიერთ ტაძარისა და მონასტრები, ჯერ კიდევ სული უდგას ქართველებს, მაგალითად, გოლგოთასა და გეთსამანიაში.

გეთსამანიაში რომ არსენ სუხანოვის ღროს ქართველები ჯერ კიდევ იყვნენ, ამას არსენ სუხანოვიც აღისტურებს.

1652 წლის აპრილში არსენ სუხანოვი იერუსალიმიდან სამშობლოში გამოეგზავრა, მაგრამ არა იმავე გზით, საიდანაც იერუსალიმში მოვიდა, არამედ ილაბზე გამოვლით, ერზინჯან-ერზერუმ-ყარსით, განჯა—შემახაზე. სრულიად გაუგებარია, რამ იძულა სუხანოვი ამ გზით წამოსულიყო. არსენი იერუსალიმიდან მომავალ

მლოცველებს და ვაჭრებს გამოპყოლია და შემახაში როცა მისულა. აქ რუსი ვაჭრები უნახის, რომელთაც სუხანვისათვის სამწუხარო ამბავი შეუტყობინებიათ. ადგილობრივი ჩელისუფლების განკარგულებით, რუსეთის ვაჭრებს, სამშობლოში დაბრუნების ნება არ ჰქონიათ, ურთიერთობა გამშვავებულა რუსეთსა და სპარსეთს შორის. არსენ სუხანვს უმჯობესად მიუწევები შემახის ხანთან არ გამოცხადებულიყო. მას ეშინოდა თურმე—ხანს არსენი ვაჭრათ არ ჩაეთვალა. მან გადაწყვიტა საქართველოში წამოსვლა და ქართლ-კახეთის მაშინდელ მფლობელთან, როსტომ მეფესთან (ხანთან), გამოცხადება და შუამდგომლობის თხოვნა, რათა შემახის ხანს არსენი რუსეთში დაუბრუკოლებდად გაემგზავრებინა.

1652 წლის 18 აგვისტოს შემახიდან გამომგზავრებული 4 სექტემბერს თბილისში მოვიდა. არსენს თბილისის მიდამოები მცხეთამ-დე დაუთვალიერებია, პატრიარქს მიუწვევია მცხეთაში. ელისე თბილელს, მარიამ დედოფლის სულიერ მოძღვანს, სუხანვისათვის უშაამდგომლებია და როსტომ მეფისაგან შემახის ხანთან წარსაღვენი სარეკომენდაციო ბარათი მიუღია და 4 ოქტომბერს თვილისიდან ისევ შემახაში გამგზავრებულა განვაზე გავლით.

მაგრამ ასე თრიოდე სიტყვით არსენ სუხანვის საქართველოში მოსვლის საფუძვლის ახსნა მართებული არ იქნება. რატომ ფიქრობდა არსენ სუხანვი, რომ მაჰმადიანი როსტომ მეფე, ირანის შაჰის მორჩილი და ამ შაჰის მიერ საქართველოს ტახტზე ბრძოლის შედეგად დასმული, რუსეთზე ორიენტირებულ თეიმურაზ მეფის დაუძინებელი მტრი, მას დაეხმარებოდა და შემახის ხანთან შუამდგომლობას აღუძრავდა და ეს უკანასკნელი, სუხანვს რუსეთის საზღვრებამდე მშვიდობით მიაცილებდა? ინტერესმოქლებული არ იქნება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის შუა წლებიდან თითქმის ოცი წლის განმავლობაში ქართველი ბატონიშვილი, თეიმურაზის შეილი-შვილი, ერეკლე დავითის-ძე მოსკოვის სამეფო კარზე იმყოფებოდა, შეიძლება ითქვას, რომ ის რუსეთში პლიზარდა. თუ როგორ მოხვდა ქართველი ბატონიშვილი მოსკოვის სამეფო კარზე, რა უფლებით სარგებლობდა ის რუსეთში, როგორ გეგმავდა რუსეთის დიპლომატია კავკასიის პრობლემის გადაჭრას, მნიშვნელობას მოქლებული საკითხები არ არის, მაგრამ, რადგანაც ამ საკითხების შესახებ ჩვენ საგანგებოდ გვაქვს საუბარი სხვაგან აქ აღარ გავიმეორებთ.

აქ ალვინიშვილ მხოლოდ იმას, რომ სწორედ 1652 წელს თეომუ-
რაშმა ერეკლე ბატონიშვილი თავისი დედით რუსეთში გაისტუმრა.
მწვავედ განიცადეს სპარსეთის შაპშა და მართველმა წრეებმა ცნო-
ბა ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების გადაწყვეტილე-
ბის შესახებ.

რუსეთის გზით მიმავალ ქართველ ბატონიშვილს შაპის განკარ-
გლებით, კავკასიონის გადასავალების მიღმოებში ყუმუხები ჩა-
უსაფრდნენ და მთელი ამაღლა აუწიოკეს, ნაწილი მოკლეს, ნაწილი
დაუტყვევეს, მაგრამ მცირეწლოვანი ქართველი ბატონიშვილი დე-
დითურთ მცირერიცხოვანმა ქართველმა ვაჟკაცებმა იშვიათის გმი-
რობით სამშვიდობოს მაინც გაიყვანეს. რუსეთის მესაზღვრებმა ის
პატივით მიიღეს, დაკარგული ქონება ნაწილობრივ აუნაზღაურეს.
მეტის-მეტად საყურადღებო არის მოსკოვისაკენ მიმავალ ერეკლე
ბატონიშვილის შესახებ დაცული საარქივო მასალებში აღწერილი
ერთი ეპიზოდი.

ერეკლეს, თეიმურაზის ელჩებს გარდა, იმერეთის მეფის ალექ-
სანდრეს ელჩებიც მოჰყვებოდნენ რუსეთში. რუსულ წყაროში იმე-
რეთის ელჩის სახელი არის მოხსენებული, მას „კალისტო“-ს ეძახიან
რუსულ მიმოწერაში. როდესაც ასტრახანში დააბინავეს ქართველი
ბატონიშვილი და მისი მხლებლები, მოსკოვიდან ერთი ქართველი
ჩამოსული და ბატონიშვილის ამაღლის ზოგიერთ წევრებთან საუბა-
რი გაუმართავს. ამ ქართველის ვინაობა ჩვენთვის ნათელი არ არის
წყაროებიდან, ოუმცა იგი მოხსენებულია „პოტაპკა კონსტანტიად“.
ამ პოტაპკას ნალაპარაკევი, იმერეთის მეფის ელჩს, ზემოხსენებულ
კალისტოს, ასტრახანელ ვოევოდებისათვის უცნობებია. არ ვიცით
რომ ხელმძღვანელობდა იმერეთის ელჩი, როცა ვოევოდებს ცნობას
აწვდიდა.

იმერეთის ელჩს „კალისტოს“ ასტრახანელი ვოევოდებისათვის
განცხადებია, რომ თითქოს მოსკოვიდან ჩამოსული „პოტაპკა“
ერეკლე ბატონიშვილის ზოგიერთ მხლებელს, მათ შორის გრიგოლ
მიტროპოლიტს, ურჩევდა ვითომ: „...чтоб они царицу и царевича
(л)а(з)аряю აрии ერეკლე ბატონიშვილსა და მის დედაზე) наго-
варивали, чтобы они к великому государю не ехали для того,
что на Руси хлеб дорог, и от голоду отец сына ест. А ли-
товской-де король великого государя города все поимал, и
дe государь сам себе добра зделать не умеет, не токмо что
царевичу. И он бы, царевич, ехал в тушинскую землю и к
шаху... и митрополит-де и стольник царицу и царевича на-
говаривают, что им лутче по Потапковым вестям ехать в

Тушинскую землю и к шаху, быть в бусурманских руках. Да тот же Потапко пришел на двор к грузинцу к Томазу, а он Калист прилучился тут же и Потапко де почал говорить ему те же речи, и он ему говорил, чтоб он от таких речей престал, и за то-де егс. Калиста, Потапко бил топтунами и живот раздавил, и бороду и на голове волосы выдрал».

ასტრახანელ ვოევოდებს „პოტაპკო“ ვაშინცე დაუკითხავთ. მაგრამ მას ციფი უარი დაურტყამს—„იმერეთის ელჩი რომ ბრალს ძღვებს არის სასაცი არავისალვას პარქვამსაც. კოუვოდებს გრიგოლ მიტროპოლიტი და წევა მხლებლებიც დაუკითხავთ. გრიგოლ მიტროპოლიტს განუცხადებია, რომ „პოტაპკა“ რუსეთში პურის სიძირიებზე და ლიტვის მეფის მიერ რუსეთის ციხე-ქალაქების მიტაცებაზე კი გვესაუბრებოდაო, მაგრამ იმერეთის ელჩი „კალისტე“. რომ ბრალდებებს უყენებს „პოტაპკოს“, ასეთი რამ მე არ მომისმენიაო. ერეკლე ბატონიშვილის კარისკაცს ლაზარეს უთქვამს, რომ არავთარი იმისი მსგავსი, რასაც იმერეთის ელჩი მოგახსენებთ მე „პოტაპკასაგან“ არ გამიგონია, მხოლოდ ის კი გვითხრა. რომ მოსკოვში ბოიარი ვასილ ბორისის-ძე დაარბიესთ.

მესამე დაკითხულს განუცხადებია, რომ პურის სიძვირის შესახებ, ქალაქების და ცხენების ჭოვების პოლონელების მიერ მიტაცების შესახებ, „პოტაპკამ“ გველაპარაყიო, მაგრამ «таких-де не пристойных слов, что извещает на него посол Калист он не слыхал».

ბატონიშვილის ამალის წევრთა ასეთი ჩვენებების შემდეგ „პოტაპკო“ იძულებული გამხდარა ახალი ჩვენება მიეცა, მას განუცხადებია: «... про хлебную дороговизну и про приход под Вязьму полъских людей сказывал ли он... того не упомнит». ამ საქმის გამოძიების დაწვრილებით მსვლელობა შორს წაგვიცანდა და და აქ ახლა მოკლედ აღვნიშნავთ, რომ იმერეთის ელჩმა „კალისტომ“ ბოლოს ჩვენება შეცვალა. იგი აღნიშნავს ახლა, რომ „პოტაპკას“ არ უთქვამს „Великий государь сам себе добра зделать не умеет не токмо что царевичу“ ეს სიტყვები მე მოვიგონე „პოტაპკაზე“ გულმოსულმა, რადგანაც „პოტაპკამ“ მე მცემაო („говорил с сердца, потому что Потапко его бил“). არც ის ამბავი მითქვამს „პოტაპკას“ შესახებ, როგორც თქვენ ჩაგიწერიათო, ალბათ თარჯიმანმა დაამახინგა ჩემი სიტყვებით. არც გრიგოლ მიტროპოლიტს და სხვებს დედოფლისათვის ის ჩჩევა არ მიუციათ მე რომ პირველ ჩვენებაში მოგახსენეთო, მაშინ გრიგოლ მიტროპოლიტზე-დაც გულმოსული ვიყავი და ყველაფერი მოვიგონეო. ასე აუბნიეს

გზა და კვალი ასტრახანელ გამოშეჩებლებს ბატონიშვილის ამაღლის წევრებმა და „პოტაპე“ ქართველმა, ძების საქმეც ამაზედ წყდება. რას ნიშავს „პოტაპეს“ გამოჩენა ასტრახანში და ერეჯლ ბა: ტონიშვილის რუსეთში მოსკოვის სამეცნ კარზე გამგზავრების საჭინადმდეგო პროცესიდა. ნუთუ იმერელი ელჩის მოკონილია ყველაფერი? საგამოშეძებლო საქმის მასალიდან კარგად მოჩანს. რომ იმერეთის „ელჩი კვალისტო“ სინამდვილეს აუწყებს, ასტრახანელ ვოევოლებს. მხოლოდ შემდეგ ვოევოლებს სათანადო ჭილდო იქვთ მიღებული „პოტაპესაგან“ თუ სხვებისაგან და ვოევოლების რჩევით საქმის მოსაბობად ჩვენებათა ახალი რედაქცია შეთხული. სხვა რგორ ყოვლად თუხსნელია გრიგოლ მიტროპოლიტის, ლაზარე მდივანის და სხვათა ჩვენებათა წარმოშობა და ოვით „პოტაპე“-ს თეოტი ძაფით ჩაეკრი უარი „არ მახსოვს ვსტკეი თუ არაო“.

ერეჯლ ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით ყურადღების ლიტის არის განსვენებულ პროფ. მ. პოლივექტ-ტრიფის მიერ „ენიმეს მომბეში“ 1940. წ. №№ V—VI გამოკვეყნებული მასალები ქართლის მეფის როსტომის მიერ რუსეთში ელჩების გაეზარების შესახებ. განსვ. მეცნიერს ამ ელჩობის არქივი „Дела перспидские“-ს ფონდში აღმოუჩენია. მაგრამ ისე დაზიანებული. რომ შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ რას ისახავდა მიზნად როსტომ მეფე ამ ელჩობით ახლა მხოლოდ ის ვიცით როდის. რა გრით და რა პირობებში იმოგზაურა მოსკოვისაკენ როსტომის ელჩი მა „მეტელ-ხან-ბეგმა“. ვიცით აგრეთვე რომ ეს ელჩი საკმაოდ „ხელ-დაშვენებული“ წრჩსდგა რუსეთის ხელმწიფის წინაშე: ოთხი შესანიშნავი ცხენი, ორი ათ-ათ არშინიანი ხილიჩ, 2 ფარდაგა ცხრაცხრა არშინიანი. 2 კონსტანტინოპოლიტი ცხენის თეოტი გადასაფარებელი, ორი ძვირფასი (πορφυρ) სუფრის საფარი, ორი დარი ვეფხის ტყავი, ორი მოქარგული თოქალთო კონსტანტინეპოლიური, ინდური ხელობის ოქროსკედით მოქარგული მშვილდის ბუდე, ინდური ხელობის მშვილდი იქროს ვარაყიანი, თამანება, ესპანური ხელობის ძვირფასი ფოლადის სატევარი, ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული, ინდური ხელობის ექვსწანაგა იარალი (πιεστოपε) ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული. ესპანური ხელობის ხელნაგახი, ძვირფასად შემცული თოფი თავრიზული ხელობის, 8 ნაკერი ეზრის ფარჩა ზოლებიანი, სამი თურქული დოლო მოოქრული და ოვლებით შემცული, ოთხი ფირუზით გაწყობილი სამკაული, და რუსეთის პატრიარქისათვის ერთი კარგი ჭორი. ამ საჩუქრების რუსული აღწერა-ლობიდან ჩანს, რომ საგარეო საქმეთა საგანგიოს როსტომ მეფის

ძლვენი მოსწონებია, ეტყობა როსტომი ცდილა ამ ნივთებით ჩუსე-
თის სამეფო კაზის ყურადღება მიექცია.

როსტომი საქმიოდ ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტო-
რიაში და მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულების მიხედვით თუ
ვიმსჯელებთ, რუსთის სამეფო კაზი წარეზავნილი ელჩობა და აა-
ჩუქრები, ჩვეულებრივ მოვლენად არ ჩაითვლება და მდენად ინ-
ტერესი ამ ფაქტისადმი ძლიერდება. ამ ინტერესით უნდა აიხსნას
განსვ. პროფ. გ. პოლიევქტოვის მიერ ფრაგმენტარულ ცენბების
გამოქვეყნებაც.

განსვ. შეცნიერს უცდია მის ხელთ არსებულ მასალების თავის
მოყრა და როსტომის ამ ელჩობის მიზანდასახულების გახარკვევად
სავარაუდო პირობები შეუქმნია, მაგრამ, მისთვის ჩვეულ შეცნიე-
რულ სიტრობილის გამო, დასკვნებისაგან თავი შეუკავებია და სავ-
სებით მართებულია. დღესაც, ჯერჯერობით, ამ ელჩობის მიზანდა-
სახულების შესახებ გარევევით რამეს თქმა არ არის შესაძლებელი.
ერთ გარემოებას მაინც ხაზი უნდა გაესვის—როსტომ მეფის საფა-
რეო პოლიტიკა ჩვენს ხელთ არსებულ ძეგლებით ისეთი თანმიმ-
დევრული შორის, რომ ელჩების და სახუქრების რუსეთში გაზავნა,
ირანის შაპიან შეთანხმების ან თვით შაპის დავალების გარეშე მომ-
ხდარი ფაქტი არ უნდა იყოს. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოება,
რომ როსტომ მეფის ამ ელჩობის გამო რომ საქმე შედგა საგარეო
საქმეთა საგანგიოში, იგი შესანახად „Дела Грузинские“-ს ფონდში
კი არ მოხვდა, არამედ „Дела персидские“-ს ფონდში. პროფ. გ.
პოლიევქტოვის მიერ გამოცემულ მასალიდან ჩანს, რომ რუსეთში
ამ ელჩობას ირანის გასალურ სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილად
თვლიან. ერთვან აღნიშნულია, რომ ასტრახანიდან ვოლგით გაემგ-
ზიარა: „...шах Аббасовы области тифлисского Арастан-ханова
посланник Магомет-хан-бек“. ან მეორე ადგილის „И тот шах-Абба-
совы области тифлисского Арастанханов посланник Магомет“¹.
ამას გარდა, უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ როსტომ მეფის ელჩი
მოსკოვში შესაფერისი პატივით უნდა ეცხოვოს და მისთვის სათანა-
დო ულუფა უნდა გამოეწერათ. როსტომის ელჩებს სხვა ქართველი
მეფეების მაგარად კი არ სცეს პატივი, არამედ საგარეო საქმეთა სა-
განგიოს არქივში მოძებნები შემახის მფლობელის მიერ რუსეთში გა-
მოგზავნილ ელჩებზე გაწეულ ხარჯების და ულუფის ნუსხა და ამის

¹ „ენიმების მოამბე“ V—VI, 1940 წ. M. A. Попиевкто. К вопросу
о сношениях Ростома... с Москвою. გვ. 528.

მიხედვით ვამოუწერეს კუთვნილი¹. როსტომი არ არის გათანაბრებული არც თემურაზთან და არც ალექსანდრე იმერთა მეფესთან. ამათი პატივი ჩატარებულის სამეფო კარზე სხვა იყო. ამ ცნობებს ახლა მნიშვნელობა ენიჭება. როსტომის ეს ელჩობა ირანის შაპის განკარგულების ან თანხმობის გარეშე არ უნდა იყოს მოწყობილი. როსტომი თემურაზივით განდგომილი, ირანის მორჩილებიდან გამოსული მფლობელი არ უნდა იყოს, არც ამ წლებში.

რუსეთში, თემურაზის წყალობით, კარგად იცნობენ როსტომ მეფეს და, პირველ რიგში, მისი ირანთან დამოკიდებულების ამბები იციან. გადარჩენილ საარქივო მასალებიდან გარკვევით მოჩანს, რომ 1652 წლამდე როსტომ მეფის ელჩი მოსკოვში არასოდეს არ ყოფილა: «А наперед сего тифлисского Урустоп-хановы ж посланники к Москве не приходили»².

ცნობა როსტომ მეფის მიერ ელჩების რუსეთში გაგზვნის შესახებ სწრაფად გავრცელებულა ამიერკავკასიის ყველა მფობელთა შორის და დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ამას. პირველ რიგში, მეტის-მეტად საინტერესო არის, როგორ შეხვდა თემურაზ მეფე როსტომის შოსკოვთან ურთიერთობას. ცნობილი არის, რომ სწორედ ამ წლებში იმერეთში გადახიზნულ თემურაზს რუსეთიდან ელჩები ეწვეონ, ტოლოჩანოვი და იევლევი. ამ ელჩობის საქმიანობის დახასიათებას ახლა აღარ გამოუდგებით მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მათ ორი საქმე ჰქონდათ დაკისრებული: მოლაპარაკება იმერეთში მყოფ კახეთის მეფესთან და მოლაპარაკება იმერეთის მეფესთან. ერთიცა და მეორეც შეასრულეს და 1651 წელს ოქტომბერში რუსეთში გაემგზავრნენ (სექტემბრის წელია).

თემურაზს ამ ელჩებისათვის ერკელე ბატონიშვილი უნდა გაეყოლებინა, მაგრამ ეს საქმე მაშინ ვერ მოგვარდა, თემურაზი, როგორც ვიტით, ხელმოკლებას უჩიოდა და რუსეთის ელჩებს კიდევ ერთი წლით იმერეთში მოცდას თავაზობდა. ელჩებმა აღარ დაიცადეს და რუსეთში წავიდნენ. თემურაზი მეტის-მეტად გულმოსული იყო ტოლოჩანოვზე. თემურაზსა და ნიკიფორე ტოლოჩანოვს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ ჩვენ ერთ წერილში გვქონდა საუბარი და ახლა ამაზე აღარ შევჩირდებით, მხოლოდ დამატებით

¹ „ენიმკის მოაშბ“ V—VI, 1940 წ. M. Попиевків. К вопросу о сношениях Ростома... с Москвою.

² იბზ.

гვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთში გაგზავნილ ერთ წერილში ოქა-
მურაზი რუსეთის მფეს ტოლოჩანოვის შესახებ წერია: «И про-
сил твоего посла Никифора подождать: но он меня не подо-
жал: дали ему с другой стороны деньги и потому он не
принял моего слова». რა საფუძველი ჰქონდა თეიმურაზს, როცა
ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებდა ელჩის, ძნელი სათქმელია. ტო-
ლოჩანოვს ამ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში თოხად დაჭრა
„четвертованне“) მოელოდა. ელჩის ღალატი საქართველოს სა-
ხელმწიფოშიაც სასტიკად ისფებოდა. რატომ გაიმურა თეიმურაზმა
ტოლოჩანოვი, თუ მას რაღაც საამისო ფაქტი არ ჰქონდა?

თეიმურაზს როსტომის სამეფოში თავისი მზვერავები ჰყავდა
უდავოდ, თეიმურაზს ძალიან ადრე გაუკია როსტომის გადაწყვეტი-
ლება, რუსეთში ელჩობის გაგზავნის შესახებ და მაშინვე შიკრიკი
უფრენია თერგისაკენ. ისე რომ 1652 წლის 10 ივნისს თეიმურაზის
კაცი ვინმე „პაპუნა“ (გვარი რუსულ წყაროში მოხსენებული არ
არის) ერთი თარჯიმანის თანხლებით იმერეთიდან თერგის ციხეში
მისულია. მხოლოდ ივლისში მიაღწია თერგის-ციხეს როსტომის ელ-
ჩმა, მაპმად-ხან ბეგმა, და ერთ ხანს ერთსა და იმავე დროს თერგში
ცხოვრობენ საქართველოს ამ ორი შეურიგებელი მოწინააღმდეგი
ხელისუფალთა მოციქულები.

თეიმურაზის შიკრიკს პაპუნას დაგალებული ჰქონია თერგის
ციხე-სიმაგრეში მყოფ რუსეთის ვოევოლდებისათვის წერილი და ზე-
პირ დანაბარები სიტყვები გადაეცა, მაგრამ პაპუნას მისია თერგის
ციხეში მისვლით არ დამთვრებულა. იგი თერგიდან ასტრახანში მი-
უყვანიათ, რადგანაც თერგელ ვოევოლდებს ქართულ ენაზე დაწე-
რილ საბუთის მთარგმნელი არ ჰყოლოდათ. რუსულ ენაზე თარგმნილ
თეიმურაზის წერილიდან ერთის შეხედვით ისე მოჩანს, რომ პაპუ-
ნას თერგში გაგზავნა თითქოს ძირითადად ერეკლე ბატონიშვილის
რუსეთში გამგზავრების მოსაგვარებლად იყო მოღონებული, მაგრამ
ეტყობა, რომ თეიმურაზს უფრო როსტომ მეფის ელჩის რუსეთ-
ში გამგზავრება აფიქრებს და თერგელ ვოევოლდებს თხოვს არ გაა-
ტარონ მოსკოვში მიმავალი როსტომის ელჩი. საბუთში როსტომ მე-
ფის პიროვნება შესაფერისად „შექულია“. „პაპუნა შიკრიკიც“,
თეიმურაზის დავალებით, როსტომ მეფის პიროვნებას დაწერილე-
ბით უხასიათებს რუსეთის ვოევოლდებს, როგორც გამაპმადიანებულ
ქართველს, ირანის შაპის მომხრეს, თეიმურაზის მტერს, დავით თე-
იმურაზის-ძის მკვლელს და რუსეთის ერთგულ ქართველების მოწი-

ჩვენ არ ვიცით, რა ცნობები ჰქონდა თეიმურაზ მეფეს მოპოვებული როსტომ ქართლის მეფის რუსეთში გაგზავნილ მაპედ-ხანის ელჩობის მიზანდასახულების შესახებ, როცა ასე თავგამოდებით მის ჩაშლას ცდილობდა. მაგრამ როსტომის ელჩი რომ თეიმურაზისათვის რუსეთში სასიკეთოდ არაფერს იტყოდა და მოიმოქმედებდა ეს უნდა სცოდნოდა თეიმურაზს. თეიმურაზის და როსტომის წინააღმდეგობა მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ერთ ქრისტიანი იყო და მეორე მაპეაინი. ან და ერთი საქართველოს ოდეგებას რუსეთის ძალით გეგმავდა, ხოლო მეორე ირანის ძალის უფრო რეალურად მიიჩნევდა. ეს მომენტები მართალია უმნიშვნელო არ ყოფილი. მაგრამ პირველ რიგში მაინც თეიმურაზისა და როსტომის წინააღმდეგობას საფუძვლად ირანის შაპის განკარგულებით თეიმურაზის სამფლობელოების მთლიანად როსტომის ხელთ გადასვლა ედო. ისე რომ, როსტომის გაქრისტიანების შემთხვევაში-ც ამ რით ხელისუფალის წინააღმდეგობა სიკვდილამდე უცვლელი რჩებოდა.

განსვეუთობით მწვავედ უნდა განეცადა როსტომ მეფეს და
პირველ რიგში, თავისთავად ცხადია, ირანის შაპსაც თემურაზის
გადაწყვეტილების—ერკლე ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარ-
ზე წარმატების შესახებ ცნობა. ამ აქტში, პირველ რიგში, რუსეთის
მმართველის საკითხებით აქტიურად დაინტერესებას ხედავდა
როსტომი და მისი პატრონი ირანის შაპი. როსტომსა და ირანის

შაპს ერთნაირად ას უძღვებენცადთ რუსეთის ქრისტიანობა მიეკავებისაში. როსტომის ამ სკითხსადმი დამკიდებულების შესახებ, ქვემოთ გვექნება საგანგებოდ საუბარი. ახლა აღვნიშვნუთ მხოლოდ, რომ რუსეთის კავკასიონზე გადმისვლა პრინციპულურ როსტომისაფრის საშიშროებათ ას ითვლებოდა თუკი. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი რუსეთის სამეფო კარს თავსი ას ეყოლებოდა, ამ შემთხვევაში ერეკლეს სახით. ირანის შაპს კი რუსეთის კავკასიონზე გადმისვლის მემთხვევაში პირველ რიგში საქართველო ეცლებოდა სამუდამოდ ხელიდან. მიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იქ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებას. ამის უტყუარი ფაქტი არის რუსეთისაერნ მიმავალ ერეკლე ბატონიშვილზე შაპის მიერ თავდასხმის ორგანიზება.

ამ გამგზავრების ჩასაშლელად უნდა იყოს მოღონებული ირანის აგენტების შიერ საქართველოში უმსგავსი ჭორების გვერცელებაც.

არსენ სუხანოვს საქართველოში—თბილისში ყოფნის ფამს, ერეკლე პატონიშვილის რუსეთში გამგზავრების წინა თვეებში საუბარი ჰქონებია თბილელ ეპისკოპოსთან. სუხანოვი ერთგან წერს, რომ თბილელმა ეპისკოპოსმა ელისემ მემთხოვ: «Мы же помним, как был на Москве царь Борис, и он-де прислал послов просить царевича, а ныне же приходил посол просить у Теймураза внука.... на что ему, государю, и что в нем будет? Кизылбашской же шах посыает нарочно по многим местам, выбирать хороших ребят на постелью».

არსენ სუხანოვი ფიცით უმტკიცებდა თურმე, რომ ასეთი წესი რუსეთის სამეფო ოჯახში არ არსებობსო. არსენის თანამოსაუბრე ქართველებს გაკვირვებიათ ეს პასუხი და თანაც სასიამოწმოდ დარჩენიათ იგი: „И епископ и прочие с ними тому удивились, велико же то дело если так“. არსენი ამტკიცებდა, რომ თეომურაზმეთის პატივისცემა აქვს რუსეთის მეფეს განზრაული და შეილიშვილის აღზრდას თვალზობსო. მაგრამ ამის შემდეგ არსენ სუხანოვთან გამოცხადებულა ქართლში მყოფი რუსი მხატვარი დანილოვი და იმასაც ხალხში გავრცელებულ ამ ხმებზე ცნობა მიუწოდებია, სუხანოვი წერს: «а про то скверное дело их помышление слышал Арсений от московского иконника Ивана Данилова; он то Арсению сказывал, что они будто помышляют то про царевича грузинского, и он же также клялся, что таких дел не ведется у государя»¹.

¹ Православный Палестинский сборник. 1889, вып. 2. Прокиннитарий Арсения Суханова, 88. 108.

ასეთი ცნობების გავრცელება რუსეთის სამეფო კარის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ხერხი იყო და არც ისე უმნიშვნელო როგორც ერთი შეხედვით ცონხება აღამიანს. თბილელსა და მის ამაღლას გაპეტირვებია კიდეც არსენი სუხანოვის მხრით საწინააღმდეგოს მტკიცება.

ზემოთ მოტანილ სხვადასხვა მასალებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნა მნიშვნელოვანი ყოფილა და იჩანის შაპს ამ საქმის ჩასაშლელად როსტომ მეფეც გამოყენებული ჰყავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული ხელისუფალი. როსტომის მიერ გაგზავნილი ელჩობა რომ თეიმურაზის საწინააღმდეგოდ უნდა იყოს გაგზავნილი წერილიდან მოჩანს, თუმცა კონკრეტულად რა წინადადებით მიდის რუსეთში როსტომის ელჩი უცნობი რჩება. მაგრამ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოში ეს სადაო ორ უნდა იყვეს. და როცა მაინც ქართველი ბატონიშვილი გაამგზავრეს, მას, როგორც ვიცით, ყუმუხების შეშვეობით გზა გადაუღობეს და მის მოტაცებას ცდილობდნენ. ერეკლე ამ ხილათს გადაურჩა, გაძარცვული მცირეწლოვანი ბატონიშვილი, დარბეული მხლებლებით, ასტრახანის გზით რუსეთისაკენ გამგზავრების მოლოდინში მეფის ულუფას ელის ასტრახანში. და ია აქ მოსკოვიდან მომავილი ქართველი შემოეყრება ბატონიშვილს და სამშობლოში დაბრუნების უმჯობესობას საგანგებოდ შეთხშულ ცნობებით უმტკიცებს. ხომ ორ არის ეს „პოტაპკა“ ქართველი როსტომ მეფის, ამ დროს რუსეთში მყოფ ელჩის, მაპმაღ-ხან ბეგის. მიერ შემოჩენილი პირი. ყოველმხრივ მისალებმა ამ შესაძლებლობამ შინკვებამ დამატეკიცებელ საბუთის აღმოჩენას უნდა დაუცდოს.

როგორც აღნიშნული იყო, ცნობა როსტომ მეფის მიერ რუსეთში ელჩების გაგზავნის შესახებ სწრაფად გავრცელებულა ამიერკავკასიის მფლობელთა შორის. საქართველოს მეზობელი მაპმაღიანი მფლობელებიც და მათი მოსახლეობა შეუშინებია ამ ფაქტს, რადგანც დანამდვილებით. გარკვეულ დრომდე მაინც, არ სცოდნიათ რატომ გთგზავნა ქართლიდან ელჩი რუსეთში. ქართლის მეფის რუსეთშე ორიენტირების შემთხვევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამიერკავკასაში. არსენ სუხანოვს სხვა ამბავთა შორის მოთხოვილი აქვს. მისი თბილისიდან შემახასავენ მოგზაურობის დროს, როგორ შეშინებული ეკითხებოდნენ მას შემხვედრი მაპმაღიანი მგზავრები როსტომის შესახებ ამბებს. როსტომის ელჩი მაპმედ-ხან-ბეგი

ახალი გამგზავრებული იყო მაშინ რუსეთში. როსტომისაგან რუსეთში ელჩის გაგზავნას საჩუქრებით არ მოულოდა პრავინ და ეს აქტი როსტომის შაპისაგან განდგომათ მიიჩნევს. არსებ სუსანოფი ერთგან წერს: «... а едуши из Тифлиса Арсений до Кенджи и от Кенджи даже до Шемахи, дорогою от многих разных людей слушал таковы речи: егда нас спрашаху они вестей что в Тифлисе деется: мы де слышахом, яко Рустем-хан отложился? И мы отвещахом, что Рустемхан живет по старому, а того неслыхать ничего. Потом спрашахом, для чего они блудутся? И они говорили: прежде сего и один был Темряз хан, ино-де много лет с ним враждовали и насилии его шах перемог, всею землею воевал его. А как-де ныне Рустем-хан владеет тремя частями, да с ним же де и башачинской, и некому де с ним будет биться, их де будет пятьдесят тысяч, а наших сто тысяч, и то не могут с ними биться; а тут де нашу землю по самую Куру учинять пусту, не дадут-де и куренька взвести нам; да и хан шемахинский воспрашивал старца Арсения о том, и дъяк шемахинский»¹.

როდესაც არსები სუსანოვი შემახაში დიდების სხდომაზე მიუწვევიათ, მას, როგორც თბილისიდან ახლად მოსულ კაცს, ისევ როსტომ მეფის შესახებ აძლევენ შეკითხვებს, ლაშქარი შეკრილი ჰყავს თუ არა, სად იმყოფება კათალიკოსი, სად არც თეიმურაზი და სხვ. სუსანოვს გაკვირვებია როსტომის შესახებ ასეთი დაენინდოთ შეკითხვები და ახლა დივნებს თვით ეკითხება თუ რატომ ძიობს ყველა როსტომის ამბებს. არსენისათვის უპასუხებიათ: „А то он расправнивал для того, что пронеслась молва, будто Рустам-хан от шаха отложился“.

მართალია აქ მოტანილ ამონაწერებში არხად არ წერია; როც როსტომის შაპისაგან განდგომის შესახებ ხმების გავრცელების მიზეზი რუსეთში ელჩების გაგზავნა იყო, მაგრამ სხვა არავითარი ფაქტი არ ჩანს ისეთი, რასაც როსტომ მეფის გარშემო აღნიშნული საგანგაშო შეკითხვები გამოეწვია. როსტომ მეფისაგან რუსეთში ელჩის საჩუქრებით გაგზავნა ჩვეულებრივ მოვლენად არც მაშინ

¹ საქართველოს სამი წილის მფლობელად არის აქ როსტომ მეფე მობსენებული. ჩვენ ხელთ არსებულ ერთი ცნობიდან ჩანს, რომ როსტომი ამ წლებში (1652) ახალციხის მფლობელიც ყოფილა: „...а тифлинской де хан живет в городе Ахалцихе от Александра царя (ლაპარაკია იმერთა მეფები) в 3-х или 4-х днищах, а тот де город Ахалцих за Кизылбашским же шахом“.
23. 16.

და არც აზღა ან შეიძლება ჩითვალოს — და, რადგანაც ირანისა და
თურქეთის წინამდებარებული დაჭუცმაცებული საქართველო
სწორედ მაშინ რესეტზე ორიგინტიანების საკითხში ერთიანდებოდა,
გრძაპმადრანებული ქართველი როსტომიც საეჭვო ჩანდა მეზობელ
სამფლობელოების მოსახლეობისათვის. პრანის შაპისაგან დამოუ-
კრებლად და მასთან შეთანხმების გარეშე, ან თვით შაპის დავა-
ლების გარეშე როსტომს ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო მა-
შინდელ პირობებში, თუ ირანთან დამოკიდებულებას ისე არ გაშ-
რეტდა, როგორც ეს თეიმურაზმა მოიმოქმედა. მაგრამ თეიმურა-
ზის მდგომარეობა არც ისე სახარბიყელო ჩანდა, რომ მის გზას დად-
გომოდა როსტომიც. ევე ხაზი უნდა გვესვის ერთ გარემოებას —
პრინციპულად, მიუხედავად იმისა, რომ როსტომი გამაპმადიანებუ-
ლი იყო. სრულიადაც მოულოდნებლი არ არის როსტომის რესეტზე
ირიგნტიარების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ კი რესეტს ისე
ძლევამოსილად მიიჩნევდა ამიერკავკასიაში, რომ მასზე დაყრდნო-
ბით ქართლის სამეფოს არსებობას ისეთი საფრთხე არ დაემუქრე-
ბოდა, როგორიც კახეთს შეემთხვა. სრულიადაც შემთხვევით არ
უნდა იყოს საქართველოს კათალიკოს პატრიარქის და მისი ხელშევ-
ითის თბილელ ეპისკოპოსის, საუბარი არსენ სუხანოვთან: «... И ка-
таликоς унял Арсения у себя обедать, посадил подле себя
с левой руки и сидя говорил, хан де наш аще и бусурман,
а к нам де милостив, от него к нам никакой обиды нет. Если
бы де государь изволил нашу землю взять, и хан бы наш рад
был тому!».

საქართველოს პატრიარქის მოტანილი სიტყვები, როსტომის
პოლიტიკის შესახებ არსებული, ადგილობრივ გაბატონებული
თვალისაზრისი უნდა იყოს. ელისე თბილელი ეპისკოპოსიც როს-
ტომ მეფის მეუღლის, ცნობილ მარიამ დედოფლის, სულიერი მამა
პატრიარქის ზემოთ მოტანილ წინადადების მხგავს აზრს აუწყებს
არსენ სუხანოვს. «как бы государь взял кумыков, и Кахет
бы его государства была; а как Кахет возмет, и Тифлис его
же государев будет».

მაგრამ მოტანილი სიტყვებიდანაც კარგად მოჩანს, რომ რესე-
ტის სახელმწიფოს საზღვრების საქართველოსაკენ წამოწევა წინას-
წარი პირობაა როსტომ მეფისათვის, რესეტისაკენ პირის მისაბრუ-
ნებლად. კახეთის პოლიტიკოსების მაგალითი სავსებით საკმა-
რისი იყო როსტომ მეფისათვის.

¹ Православный Палестинский сборник. 1889, вып. 21. Прокинит-
рий Арсения Суханова, гл. 106.

მაგრამ აქ სხვა საკითხები დგება ჩვენს წინაშე. რა აშენებდა გამამადიანებულ როსტომს ან მის ხელქვეით მყოფ მოწინავე ქართველების წრეებს იმის შემდეგ, როცა ირანის შაჰის ქართლ-კანეთი ერთი ხელისუფალის სამფლობელოდ აცია და რაც მოავარია ქართული საქმის ხელისშეშლებით თითქოს ირანი არარ მოჩანდა. მარიამ დედოფალი რუსეთიდან კახეთისათვის გამოგზავნილ მხარე-არას ქართველების ეკლესიების გასაახლებლად ამუშავებდა და სამშობლომიაც აღარ უშვებდა. შეიძლება განა ვიუიქროთ, რომ ირანის პოლიტიკოსებს როსტომი თვალს ისე უხევვდა, რომ როსტომის ქართულ საქმიანობას ვერ ამჩნევდნენ? როსტომის პირადი მოხერხება იყო, ირანზე ორიენტირების პირობებში. ქართული საქმიანობა?

ამ იქნება მართებული ირანის შაჰის კარის გულუბრყელოების კრებულიდ წარმოდგენა. მაპმადიან როსტომს ირანიდან ქრისტიანთა მუსურაზე ნაკლები მსტოვარები (გაშუში) არ შეიძლებოდა ჰყოლია მიჩნილი და ეს ფაქტი ყველაზე უფრო კარგად როსტომმა იცოდა ალბათ საქართველოში მეფედ გამოგზავნილ როსტომის საშინაო და საგარეო პილიტიკის ძირითადი გეზი ირანის სამეფო კართან უნდა ყოფილიყო ხომ შეთანხმებული, ეს ქართველების დასამშვიდებელი საშინაო პოლიტიკის გეზი, თეიმურაზის სამფლობელოდან განდევნის შემდეგ, ახალი მოლონებული გამლდათ. გამოსარკვევია როსტომმა შესთავაზა ირანის კარს საქართველოს დასამშვიდებელი ეს ხერხი, თუ ირანის შაჰის კარმა შეიმუშავა იყო.

როსტომის კანცილატურის გამონახვის შემდეგ, საქმის ნამდვილმა კითარებამ ირანის კარი დაარწმუნა იმაში, რომ უფრო მოქნილი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი ხდება თვალდებული საქართველოს ისე მოშინაურება, რომ ივა, თავისი არსებით, ირანისებულ პროვინციათ აქციოს. თეიმურაზ მეფის დამსახურება ფეოდალურ საქართველოს წინაშე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისმა შეუდრეველმა ბრძოლამ ირანის კარი იძულებული გახდა ხელი აეღო საქართველოს ჯიქურ გასპარსელებაზე. თეიმურაზის კახეთში და ქართლში მეფობის დროს, ირანთან ხერთო ენის გმონახვა შეუძლებელი ჩანდა. ირანი ებრძოდა მაშინ ყოველივე იმას, რამიაც ქართველობა გამოჩნდებოდა. ტანთსაცმელი რა ირის იმასაც კავერ იცავდა ქართველი ირანელი ხელისუფლების ისეთი წარმომადგენლის წინაშე, როგორიც უბრალო ელჩი იყო.

თეიმურაზი მართალი იყო ისტორიულად, მისი დაუცხრომელი ბრძოლა ჭირვეულობით და ჯიუტობით კა არ უნდა აიხსნას, არამედ იმ საფრთხით, რომლის წინაშე აღმოსავლეთი საქართველო

დადგა ირანის შესვეურთა პოლიტიკის შედეგად. თერმურაზის რუსეთშე ორიენტირება მეტისმეტად საშიში იარაღი ჩანდა იმ დროის საქართველოს მაპმაღიან მეზობლებისათვის. მართალია რუსეთი არ უჩქაროდა ამიერკავკასიის საკითხებში აქტიურად ჩარევას. მაგრამ ეს ხმა მაშინ არავისათვის ცნობილი არ იყო. თუ როდის დაიწყებოდა რუსეთის სავარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დასმულ მიერკავკასიის საკითხის ვადასპრელად აქტიური მოქმედება.

რუსეთს საფუძველი უნდა მოშლოდა საქართველოში. ძველი, ჯიქურ საქართველოს გასპარსელების პოლიტიკა, ირანის სურვილისად მიუხედიად, რუსეთისათვის მტკიცე საფუძველს ქმნიდა ჩვენს ქვეყანაში. ახლა კი როსტომის საშუალებით იმ პოლიტიკის გატარებას ეყრება საფუძველი. რომელმაც ნელ-ნელა ნიადაგი ვამოაცალა თეიმურაზ მეფეს. აღმოსავლეთ საქართველოში, მაპმაღიანი როსტომი მოევლინა ჭირისუფლად ქრისტიან საქართველოს და აკეთებდა იმას, რისთვისაც ასე თავამოდებით იბრძოდა თეიმურაზი.

ზაგრამ რაოდენ მყარი იყო ირანის ფრთებ ქვეშ ქართული საქმის კეთება, ეს ყველაზედ უკეთ ოვით როსტომმა იცოდა ალბათ. ირანის კარს საქართველოს მიმართ ძველი მიზანდასახულება სრულიადაც არ შეუცვლია. ამ მიზანდასახულების მისაღწივად ერთი ხერხი გამოუსალეგარი გამოდგა ქართველების იშვიათი სიმტკიცის და მიერკავკასიის პორიზონტზე რუსეთის სახელმწიფოს გამოჩენის შედეგად. მაგრამ გამონახულ იქნა ახალი ხერხი, ირანი მოქნილ პოლიტიკას დადგა, ვითომ ირანის მფარველობაში მყოფ საქართველოს არსებობას ივი არ ებრძვის. ფარული ვზით და ნელი ტემპით იკატავდა გზას საქართველოს გასპარსელების იდეა. ძველი და ახალი ხერხი ერთ მიზანს ემსახურებოდა. როსტომს და მის ხელშვეით მყოფს მოწინავე ქართველობას, არ შეიძლებოდა არ დაენახა სიით მიექანებოდა ირანის ხელშვეით მყოფი საქართველო. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვესახება ის საუბარი, რომელიც საქართველოს კლესიის შესვეურებს არსენ სუხანოვან ჰქონიათ. როსტომ მეფეს, ვითარება პოლიტიკურ მოღვაწეს, რუსეთის გადმოსცვლა-კავკასიონზე შეიძლება გახარებოდა და აქ საკვირველი და უცნაურა არაფრია.

სიტყვა გაგვიგრძელდა ზემოთ დასმულ კითხვაზე. მოკლე პასუხი არ ივარგებდა. ახლა უფრო ნათელი ხდება, რატომ ფიქრობდა შემახაში მყოფი არსენ სუხანოვი, რომ შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან. მას ქართლ-კახეთის მაპმაღიანი მეფე „როსტომ-ხანი“ გამოიყვანდა. მან იცოდა, რომ იმ ხანებში როსტომ მეფემ რუსეთში

ელჩი მიავლინა. ეს ამბავი ალბათ მან, თუ უფრო ადრე არა. შემახა-
ში მისვლისას გაიგო.

არსენ სუხანოვი თავის მოგზაურობის აღწერილობაში წერს, რომ სექტემბრის 18, თბილისში მყოფ არსენს როსტომ მეფემ თარ-
ჯიმანი გამოუგზავნა იმის გასაგებად, თუ რა მიზნით მივიდა იგი
თბილისში. ის წერს: «Того же дня Рустем-хан прислал к
Арсению толмача вспрашивать, для чего приехал; и Арсе-
ний сказал: слышал я, что Рустем-хан послал к государю
царю и великому князю Алексею Михайловичу всея Руси
посла своего, и по государеву указу, везде ему по городам
дают подводы, корму и провожатых колыко угодно; а я ни-
чего того не прошу, только о том чадом бью, чтобы Рустем-
хан велел меня проводить до Терека, потому, что из Шемахи
русских людей непускают к Москве».

არსენს გადმოცემით, როსტომ მეფეს, ყოველგვარი ყოფილი გამანის
გარე, შემახის ხანისათვის გადასცემი სარეკომენდაციით წერილი
გამოუგზავნია სუხანოვისათვის და შემოუთვლია, რომ თუ შემახის
ხანმა გაგამგზავროს ხომ კარგი, თუ არა და დაბრუნდი თბილისში
და მე მთის გზით გადავიყვან თერგამდეო. როგორც ჩანს, როსტომ
მეფის შუამდგომლობამ გასჭრა და სუხანოვი შემახადან მშვიდო-
ბით გაატარეს რუსეთის საზღვრებამდე და 1653 წლის 7 ივნისს
მოსკოვში მოეიდა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, რუსეთის ხელისუფლება შეშ-
ფოთებული ყოფილა იმის გამო, რომ სუხანოვისაგან დიღხანს არა-
ვითარი ცნობა არ იყო და საბერძნეთიდან და იერუსალიმდან მოს-
კოვში ჩამოსულ ბერძნებს, საგარეო საქმეთა საგანგიოში, არსენის
შესახებ ეკითხებოდონენ თუ რაიმე გაეგონათ.

მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, მალე ისევ საზღვარგარეთ
გამგზავრება მოუხდა სუხანოვს. რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა იგი
ათონზე გაგზავნა ბერძნული და სლავური ხელნაწერი წიგნების შე-
სასყიდათ და მოსკოვში ჩამოსატანად. ჯრ კიდევ 1648 წლიდან და-
იწყო რუსეთში საეკლესიო ლიტერატურის შექრება ბერძნულ დედ-
ნებთან და ასე შესწორებული ტექსტების სტამბური წესით ბეჭდ-
ვა. ნიკონ პატრიარქის დროს კი, ქრისტიანული ლიტერატურის გა-
მოცემის დროს, ძირითადი პირობა იყო ტექსტის წინასწარ ბერძნულ
დედნებთან შედარება. როგორც პატრიარქ ფილარეტის დროს ჩა-
ტარებულ აღწერილობიდან ჩანს, საპატრიარქო ბიბლიოთეკაში 6
ბერძნული ხელნაწერი ინახებოდა მხოლოდ. ასეთ ვითარებაში
ძველი რუსული თარგმანების ტექსტების შემოწმება ბერძნულ

ჭუდნებით აღის ხელსდებოდა, ამიტომ პატრიარქ ნიკონის განცალ-
გულებით არსებ სუხანოვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ათონზე
ვთიშვავნა. სუხანოვი აღკურებილი ყოფილა მდიდარი შესაწირავებით.
ჭულით და იქუმ, მონასტრების წინამძღვრებისადმი წერილებით.

ასევნ სუხანოვის მიერ ათონიდან ჩამოტანილი წიგნები, დღე-
საც დაცულია მოსკოვის ყოფ. საპატრიარქო ბიბლიოთეკაში, თი-
თოვულ წევნს თვით ასევნის ხელით გაკეთებული მინაშერი აქვს
ბერძნულ ენაზე, აյ აღნიშულია როგორი მონასტრიდან არის ხელ-
ნიშერი წამოლებული. ამ წიგნების სის გადასინჯვა ცხადყოფს იმას. რომ ათონის მონასტრებიდან შეძენილი ხელნაშერები არა მარტო
რუსული ტექსტების შესახერებლად სჭირდებოდათ, არამედ რუსულ
ენაზე არასებულ თარგმანების გასაკეთებლადაც. კიდევ მეტი.
ამ წიგნებს მორის არის ისეთი თხზულებებიც, რომელთა თარგმნა
რუსულ ენაზე გათვალისწინებული არ ყოფილა და არც თარგმნილა.
მაგალითად, ძევლი ბერძნული კლასიკური ლიტერატურის ძევლე-
ბი, ვრამატიკული და რიტორიკული თხზულებანი. როგორც ჩანს,
პატრიარქ ნიკონს, ასეთი წიგნების შეძენის დროს, მხედველობაში
ჰქონია იმ ე.წ. „ბერძნულ-ლათინურ“ სკოლის საჭირო ლიტერატუ-
რით უზრუნველყოფა, რომლის გახსნასაც იგი 1654—55 წლებში
გვიგმვდა და მარტ გახსნა კიდევ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, პატრიარქ ნიკონს, საბერძნეთის
მონასტრებში წიგნების შესაძენათ საეკიალსტის გავხავნა, არსენ
ბერძენია შთავავონა. წიგნების შესაძენი თანხა თვით მეფის, განკარ-
გულებით გაცვეული ფულისა და სამურის ბეწვის სახით. ფულის
რომელიმ სუხანოვის საარქივო მძღვანებში არ ჩანს, მაგრამ სამურის ბეწვი,
რომელიც სუხანოვის ვლახეთში გაუყიდია, 3000 მაშინდელი მანეთის
ლირებული ყოფილი. მათგან 50 მანეთის ბეწვეული არ გაცვიდია
ასევნს და ნატურით დარჩენა. მაშინდელი სამი ათასი მანეთი უდ-
რის პირველ მსოფლიო ომადცელ 45 ათას ოქროს მანეთს. იმას თუ
ხსნითამ, გაცვეულ ვერცხლის ფულსაც დაეუმატებთ. ადვილათ
წარმოვიდგენთ რა დიდი თანხით იქნა ასევნ სუხანოვი გასტუმრე-
ბული ათონის მთაზე. წიგნების შეძენის საკითხზე ჩვენ აქ ასე
გრცლად არ შევჩერდებოდით, რომ ათონის ქართველთა მონასტრებს
ამ შევებოდეს იგი.

მოსკოვში დაცულ „Греческие дела“ ფონდში დაცულია
საჭმე, სადაც ათონის იცერის მონასტრის არქიმანიზრიტი დონის

¹ В. Ключевский. Опыты и исследования. Русский рубль XVI-XVIII вв., гл. 211.

ერთ თავის თხოვნიში მოიხსენიებს წიკონ პატრიარქის წერილი რომელიც ამ „უკანასკნელმა გაუგზავნა მონასტრის ხელმძღვანელობას ბერძნული ხელნაწერი წიგნების გამო“.

ათონშე ბრძენი ორ თვეს დარჩენილა და ამ ხნის განმავლობაში იქ არაებული მონასტრების ბიბლიოთეკებს სინაზღადა და სიჭარო წიგნებს ირჩევდა. მის მიერ შერჩეულ წიგნებს პირველ ვაკე დებზე სუხანოვი საკუთარი ხელით აწერდა „არსენ“, ასევე აწერდა თავისი ხელით ბერძნულ ეხაზე მონასტრის სახელწოდებას, მაგან აროველების მონასტრის ბიბლიოთეკიდან წამოლებულ წიგნს აწერია „ტონ იძერონ ლავრას“.

ათონიდან ჩამოტანილი წიგნები ორჯერ აღუშერიათ. პირველიდან 1658 წელს, მეორედ 1675 წელს. ყველაზე მეტი ხელნაწერი ქართულ მონასტრიდან წამოუღიათ. 1660 წელს ივერიის მონასტრის ხელმძღვანელობა მეფე ალექსი რომანოვს წერდა, რომ „არსენ სუხანოვის ხელით 156 ცალი ხელნაწერი წიგნი გამოგიგზავნეთ“. სულ ათონის მონასტრიდან 498 წიგნი ჩამოუტანიათ, მაგრამ (156 ცალი) აუც ერთ მონასტრიდან არ წამოუღიათ. წიგნების რაოდენობა მონასტრების მიხედვით ასე ნიშილდება: 156, 61, 52, 43, 34, 32, 26, 18, 14, 9, 8, 6, 3, 2, 1.

ქართველების მონასტრის ბიბლიოთეკიდან წამოლებულ წიგნებს შორის ჩვენს ყურადღებას იძყრობს საერთო ხასიათის თხზულებანი:

1. ფილოსოფიური და რიტორიული შინაარსის კრებული;
2. სოფისტი ათენე ნაცერატელის—ბრძენთა მეჭლისი;
3. დემოსთენის ოლიმფიურ სიტყვათა მეორე და მესამე ნაწილი;
4. დოფინ ლურცის ხერძენ ფილოსოფოსთა მოკლე ბიოგრაფიები;
5. თუკოთვიდეს ისტორია დანართით მე-15 საუკუნის ხელნაწერი;
6. დემოსთენის ოთხი სიტყვა;
7. ორიბაზ მკურნალის 9 წიგნი სააქმო;
10. საფუკლე პოეტის ტრაგედიები — ასქსი, ელექტრა და მეფე აიდონის, მოკლე განმარტებებით და სოფოკლეს ბიოგრაფიით მე-14 საუკუნის ხელნაწერი;
11. ტირან ფილარილის 145 წერილი სხვადასხვა პირებისადმი და 73 წერილი რომაელ ქრუტოსიადმი 1487 წლის ხელნაწერი;
12. ესქილეს ტრაგედიები;
13. პოეტ ჰენიდეს—შორმები და დღეები;
14. არისტოტელეს თხზულებაზოროვიკისა და ფიზიკის შესახებ;
15. ლიბანიოს სოფისტის სიტყვანი.

¹ С. Б е л о к у р о в . Арсений Суханов. 38. 336.

მოკლე ბაოვრაფიით; 16. პოეტურ თხზულებათა კრებული—კატონის, ჰერმესის, სიბილას, ევრიპიდეს, ჰეზიოდეს და სხვ.!

სამწუხაროდ, დღემდე არც ერთ ქართველ შევლეგარს, ათონის ქართველთა წიგნთსაცავიდან წამოლებული ეს წიგნები არ გადაუსინჯვს. შეუძლებელია იქ რაიმე მინაწერები არ იყოს. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა აღვითქვა ქართველების ამ მონასტრის ოდესლაც კუთვნილი წიგნების გადასინჯვა.

რომ აიხსნება, რომ ათონის ქართველთა მონასტერმა ამდენა ხელნაწერი გამოიტა რუსეთისათვის? 1652 წელს მოსკოვში ათონიდან ქართველთა მონასტრის არქიმანდრიტი კლიმენტი ჩასულა თავისი მხლებლუბით. კლიმენტი არქიმანდრიტს, რუსეთის მეფის ამ მონასტრისადმი ნაბოძებ წყალობის სიგელის ძალით, მოწყვალება უნდა მიეღო. მოსკოვში ყოფნის დროს კლიმენტის მეფისათვის თხოვნა მიურომევია, რომლითაც ქართველებისათვის მოსკოვში რომელიმე მონასტრის გადაცემას ითხოვდა. პატრიარქ ნიკონის მხარის დაჭრით. 1653 წლის 21 იანვარს ათონელ ბერებს მართლაც გადასცეს, კრემლის მახლობლად, ნიკოლოზის სახელობის მონასტერი, კლიმენტ არქიმანდრიტი ამ მონასტრის წინამდლვარათ დატოვეს მოსკოვში. შემდეგში რუსეთში გამგზავრებულ ათონელების თავშესაფარი ყოფილა ეს მონასტერი. და როდესაც არსენ სუხანოვი ათონში გაემგზავრა წიგნების შესაძნათ, ქართველ ბერებს ანდა ქართულ მონასტერში დამკვიდრებულ ბერძნებს, ბუნებრივია, ძღიდარი ბიბლიოთეკიდან, არსენ სუხანოვისათვის საგრძნობი რაოდენობის წიგნები დაეთმოთ.

ნიკონ პატრიარქი საერთოდ ყურადღებით ეპყრობოდა რუსეთში ჩასულ ქართველ სასულიერო პირებს, ასევე ყურადღებით იყო იგი ათონის ქართველთა მონასტრის ხელმძღვანელობისადმი,* მაგრამ ეს ყურადღება ქველმოქმედება კი არ იყო, არამედ სრულიად გარკვეული პოლიტიკური შინაარსის მქონე აქტი: მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, ოცდაათიანი წლებიდან მოლაპარაკება მიმდინარეობდა და ბოლოს გაფორმდა კიდეც, თეიმურაზ I თაოსნობით, საქართველოს სამეფო სამთავროთა რუსეთის ხელშვეით პოლიტიკურიად დაქვემდებარება. რუსეთის პატრიარქი კი ცდილობდა უძველესი ქართული ქრისტიანული ეკლესიის რუსეთის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებას. მართალია ასეთი წინადადებით რუსეთის ეკლესის არ მიუმართავს ოფიციალურად, მაგრამ საკმაოდ მოხერ-

* ქართული მონასტრის კუთვნილი ამ ხელნაწერების შესახებ იხ. ს. ბელოუროვის დასხელებული ნაშრომი, გვ. 354—373.

ხებულად და შემპარავი გზით საფუძველს ჰქონდა რუსთან ვალიურის ხელმძღვანელობა, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები, კამოგზავნა საქართველოს ეკლესიის შესამოწმებლად და პატიანები ნიკონის წერილი ქართველ სამღვდელოებისადმი, ეს უბრალო და უმნიშვნელო არავის უცონის. კანკოს ეკლესიის შეთაურებში, რომ კრება არ მოიწვიეს და ნიკონის წერილის საჭაროთ მოსმენა არ მოიდომეს, საქმე გააჭიანურეს და რუსეთიდან მოვლენიდან კომისიის შენიშვნები არ მიიღეს, ესეც უმნიშვნელო აქტი არ ყოფილი კართველი მღვდელმთავრები რუსეთიდან მოვლენილ ითხებ აქტისანდრიტს მიუთითებდნენ, რომ ჩვენ იურუსალიმის პატიანებში, თეოფანებ შეგვამოწმა და მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიადან არავითარ გადახრას ადგილი არ ჰქონია ჩვენშით. თეომიტრის მეფეც მიხეილ რომანოვს წერდა: „მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებიდან ჩვენ არავითარ გადახრა არ გვაქვს. წევმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ ჩვენ.. მართლმადიდებელი პატიანებები: კონსტანტინოპოლის თეოლიპტე, ანტონიის ნეოფიტე, იურუსალიმის თეოფანე და ამ პატიანებების მიტროპოლიტები და არქიმანდრიტები ჩამოდიან ჩვენთან მარატეამს, შეწრაულების მისაღებად, და არც ერთ მათგანს. ჩვენს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რამე შეცდომილება არ უპოვათ“.

აღმოსავლეთის პატიანებების სენება რუსთან ეკლესიის ხელმძღვანელობასთან იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ეკლესია რუსთან ეკლესიის პაროტიტებს არ ცნობსა. მავრამ თურქთან გაბატონების შემდეგ, გაჭირვებაში ჩავარდნილ აღმოსავლეთის პატიანებებს, რუსთან ეკლესია სიმღიდრითაც სხობნდა და რაც მთავარია, მის ზურგს უკან მდგომ რუსთანის დიდ სახელმწიფოთაც. ათონის საგანმანათლებლო ცენტრების მდიდარი საჩუქრებით დაქვემდებარება მოიწადინა რუსთან ეკლესიამ. სისულეებით სისწავლების მღსკოვში დაარსებაც დასახულ გვგმების სისრულეში მოსაყვანად გადაგმული ნიბიჯი იყო. ატსენ სუხანვი ათონიდან 1655 წელს დაბრუნდა, როგორც იტყვიან, მისი ბედი რომ ის ამ წლებში მოსკოვში არ იყო, 1654 წელს მომსვრელი ეპიდემია მძვინვარებდა, აუგარებელი ხალხი იმსხვერპლა მან და მთ შორის ბერების დიდი რაოდენობა, მონასტრის საერთო საცხოვრებლის პირობებში თურქე ეპიდემიამ მუსრი გავლო შავ სამღვდელოებას და თითო თროლა თუ გადარჩა.

